

გამიჯვნის პრინციპი ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე

ეკატერინე დანელია*

1. შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) შექმნისას ძირითად წყაროდ გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (გსკ) იქნა გამოყენებული, შესაბამისად, ქართული სამოქალაქო სამართალი ყველაზე მეტ მსგავსებას გერმანულ სამართალთან ავლენს. თუმცა გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბებულმა ქართულმა სამოქალაქო სამართალმა გარკვეულ საკითხებთან მიმართებით არ გაიზიარა გსკ-ის მიდგომა. ცალკეული ინსტიტუტის ანალიზისას რჩება შთაბეჭდილება, რომ სსკ შეეცადა, შეეჯერებინა სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის გამოცდილება, საბოლოოდ კი „შუალედური“ პოზიცია ჩამოეყალიბებინა.

გერმანული სამართლისაგან განსხვავებული მონესრიგების მცდელობამ ზოგიერთ ნორმაში წარმოშვა ხარვეზები, რამაც სირთულეები გამოიწვია გარკვეული ინსტიტუტების სწორად გაგებისა და გამოყენების თვალსაზრისით. ასეთ საკითხთა რიცხვს განეკუთვნება საქართველოში საკუთრების უფლების გადაცემის სისტემა, ისევე, როგორც ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულებების გამიჯვნის პრობლემა. კოდექსის ნორმათა ფორმულირიბიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, არცთუ ნათელია, საკუთრების გადაცემის რომელ სისტემას იზიარებს ქართული სამართალი, იცნობს თუ არა ხელშეკრულებების ვალდებულებითსამართლებრივ და სანივთოსამართლებრივ ხელშეკრულებებად გამიჯვნას? თუკი იცნობს, რა მიმართება არსებობს, ერთი მხრივ, ვალდებულებით და სანივთო ხელშეკრულებებსა და მეორე მხრივ, მათ და ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში მოხსენიებულ კონსენსუალურ და რეალურ ხელშეკრულებებს შორის, რომლებიც მსგავსებას ამჟღავნებენ ფრანგულ სამართალში არსებულ ანალოგიურ კლასიფიკაციასთან, თუმცა ამ უკანასკნელისგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობენ საკუთრების უფლების გადაცემის თვალსაზრისით. ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულებების გამიჯვნის საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ე.წ. რეალურ ხელშეკრულებებთან კავშირში, რადგან, მათი დადების თავისებურებებიდან გამომდინარე, აშკარად არ იკვეთება, სად გადის მიჯნა ვალდებულებით და სანივთო ხელშეკრულებებს შორის, ან, საერთოდ, რამდენად მოქმედებს ასეთი ხელშეკრულებების მიმართ გამიჯვნის პრინციპი.

რეალურ ხელშეკრულებებში გამიჯვნის პრინციპის მოქმედების საკითხის განხილვა საინტერესოა ჩუქების ხელშეკრულების მაგალითზე. ჩუქების ხელშეკრულებაზე არჩევანის შეჩერება გამოწვეულია მისი სპეციფიკით, რაც მას აშკარად გამოარჩევს ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილში მონესრიგებული სხვა ხელშეკრულებებისგან.

ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით გამიჯვნის პრინციპის განხილვა, ცხადია, მოითხოვს ჩუქების ხელშეკრულების ანალიზს, რისთვისაც პრაქტიკული მნიშვნელობის იქნება გერმანულ და ფრანგულ სამართალში საკუთრების გადაცემის სისტემისა და ჩუქების ხელშეკრულებისათვის ამ მხრივ დამახასიათებელი თავისებურებების გაცნობა.

ნაშრომის მიზანია გამიჯვნის პრინციპის არსისა და ქართულ სამართალში მისი არსებობის ზოგადი მიმოხილვა, ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნებისა და მასთან

* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი.

მიმართებით გამიჯვნის პრინციპის მოქმედების საკითხის ანალიზი შედარებითსამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური მეთოდების გამოყენებით, ქართულ სამართალში არსებული ხარვეზებისა და ნაკლოვანებების აღმოჩენა და მათი აღმოფხვრის გზების ძიება.

ნაშრომში თავდაპირველად განხილული იქნება გამიჯვნის პრინციპის არსი ზოგადად, მისი მიმართება აბსტრაქციის, კაუზალურ და ერთიანობის პრინციპებთან. შემდეგ თავში გაანალიზდება ქართულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის არსებობისა და მოქმედების საკითხი, მეოთხე და მეხუთე თავები შეეხება ზოგადად ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას და მასზე გამიჯვნის პრინციპის ზემოქმედებას, მეექვსე თავში მოცემული იქნება ჩუქების ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებული თავისებურებები და, ბოლოს, დასკვნის სახით წარმოდგენილი იქნება კვლევის შედეგები.

2. გამიჯვნის პრინციპი

სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა საკუთრების გადაცემის განსხვავებულ რეჟიმს ითვალისწინებს. ნაწილი საკუთრების უფლების გადაცემისათვის საკმარისად მიიჩნევს მხოლოდ ერთ – ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებას და საკუთრებას გადაცემულად, ხოლო შემქმნის მესაკუთრედ თვლის აღნიშნული ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისთანავე.¹ განსხვავებული მიდგომის მიხედვით, რომლის ნიშნულად შესაძლებელია გერმანიის სამოქალაქო სამართლის მოყვანა, საკუთრების უფლების გადასაცემად საკმარისი არ არის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლებას იძლევა, საკუთრების უფლების გადასაცემად დამატებით საჭიროა სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება და ნივთის მფლობელობაში გადაცემა.² პირველი მიდგომა გათვალისწინებულია ერთიანობის პრინციპის პირობებში, მეორე კი მოქმედებს იმ ქვეყნებში, სადაც აღიარებულია გამიჯვნის პრინციპი. მოცემული თავის ფარგლებში განხილული იქნება გამიჯვნისა და ერთიანობის პრინციპების არსი და თავისებურებები.

2.1 გამიჯვნის პრინციპის არსი

გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ერთმანეთისგან იმიჯნება ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს საკუთრების უფლების განკარგვის ვალდებულებას და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება, სხვაგვარად, განკარგვის გარიგება, რომლის მეშვეობითაც რეალურად ხორციელდება საკუთრების უფლების გადაცემა, შეცვლა ან შეწყვეტა. საკითხის დეტალურად განხილვამდე მიზანშეწონილია დაზუსტდეს, რომელი ტერმინის გამოყენებაა მართებული.

გერმანულ სამართალში საკუთრების უფლების განკარგვის ვალდებულების წარმოშობ ხელშეკრულებას უწოდებენ ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებას, ხოლო ხელშეკრულებას, რომლითაც უშუალოდ ხდება საკუთრების უფლების გადაცემა, შეცვლა ან შეწყვეტა, – განკარგვის ხელშეკრულებას ან გადაცემის გარიგებას.³

ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულებების მკაცრად განყენებული გამიჯვნა გერმანელ იურისტს შესაძლებელია ხელს უშლიდეს, შექმნას

¹ მაგალითად, ინგლისი და საფრანგეთი.

² *Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract, 2nd Edition, Oxford and Portland, Oregon, 2006, 29.*

³ იხ. იქვე, 27-28; *ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება, თსუ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1994, 153.*

ნაშრომი სახელშეკრულებო სამართალზე მარტივი სათაურით „სახელშეკრულებო სამართალი“, იმ გაგებით, რომლითაც ეს შეიძლება გაიგოს საერთო სამართლის იურისტმა. რადგან უფლების გადაცემა უფლების გადაცემის ვალდებულების წარმომშობ ხელშეკრულებასთან (*Verpflichtungsgeschäft* – ვალდებულებითი ხელშეკრულება) ერთად, ჩვეულებრივ, მოითხოვს ხელშეკრულებას, რომლის მეშვეობითაც რეალურად ხდება უფლების განკარგვა (*Verfügungsgeschäft* – განკარგვის გარიგება). შესაბამისად, შესაძლებელია დაიბადოს კითხვა, თუ რომელი ხელშეკრულება იგულისხმება გერმანულ სამართალში ხელშეკრულებაზე საუბრისას, ვალდებულებითსამართლებრივი (*Verpflichtungsgeschäft*) თუ სანივთო (*Verfügungsgeschäft*)? სახელშეკრულებო სამართალი, რომელიც ვალდებულებითი სამართლის ნაწილს შეადგენს გერმანიაში, იწოდება სახელშეკრულებო ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობად (*vertragliche Schuldverhältnis*), ხოლო გსკ-ში *Vertrag*-ის, და არა *vertragliche Schuldverhältnis*-ის, მოხსენიებისას იგულისხმება როგორც ვალდებულებითსამართლებრივი, ისე განკარგვის ხელშეკრულება.⁴

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში ზოგადად დამკვიდრებულია სანივთო გარიგების ცნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ე.წ. განკარგვის გარიგების თუ ხელშეკრულების აღსანიშნავად ძირითადად გამოიყენება „სანივთო გარიგება“ და, იშვიათი გამონაკლისის გარდა⁵, იგი არსად არ მოიხსენიება სანივთოსამართლებრივ ხელშეკრულებად. რა შეიძლება იყოს სამართლებრივ ლიტერატურაში მხოლოდ „სანივთო გარიგების“ და არა „სანივთო ხელშეკრულების“, მოხსენიების მიზეზი? ან, ზოგადად, დასაშვებია თუ არა ტერმინის – „ხელშეკრულების“ გამოყენება? ტერმინის სწორად შესარჩევად საჭიროა სანივთო გარიგების სამართლებრივი ბუნების განხილვა.

სანივთო გარიგება გულისხმობს მხარეთა შეთანხმებას საკუთრების უფლების გადაცემის, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ, მხარეთა შეთანხმება კი, თავის მხრივ, საჭიროებს, სულ ცოტა, ორი ნების გამოვლენას: საკუთრების უფლების გადაცემის შემთხვევაში ერთი მხარე ავლენს საკუთრების უფლების მეორე მხარისათვის გადაცემის, ხოლო მეორე მისი მიღების ნებას. შესაბამისად, სახეზეა ორმხრივი ნების გამოვლენა. სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ორმხრივი გარიგება კი ხელშეკრულებაა. „ხელშეკრულება ორმხრივი და მრავალმხრივი გარიგების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. ხელშეკრულება ორი ან რამდენიმე პირის შეთანხმებაა, რომლითაც ისინი კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავენ მიზნად.“⁶ ზემოთქმულიდან გამომდინარე, თუკი სანივთო გარიგების დროს სახეზეა ერთზე მეტი ნების გამოვლენა, შესაბამისად, სახეზეა ხელშეკრულება, ამიტომ ტერმინის – „სანივთო ხელშეკრულება“ – გამოყენება სავსებით დასაშვებია, უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ იგი სანივთო გარიგების შინაარსს აზუსტებს. უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე უკეთ ამ სახის ხელშეკრულებათა არსს ტერმინი „განკარგვის გარიგება“ ან „განკარგვის ხელშეკრულება“ გამოხატავს. თუმცა ასევე სავსებით დასაშვებია მისი „სანივთო გარიგებად“ თუ „სანივთო ხელშეკრულებად“ მოხსენიება. შესაბამისად, მოცემული თემის ფარგლებში სამივე ტერმინი იქნება გამოყენებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ გამიჯვნის პრინციპის პირობებში ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება მხოლოდ

⁴ Markesinis/Unberath/Johnston, *The German Law of Contract*, 2006, 28.

⁵ კერესელიძე, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ქართული სამართლის მიმოხილვა (ქსმ), 6/2003-4, 600.

⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, სამართალი, თბილისი, 2001, 86.

და მხოლოდ უფლების გადაცემის მოთხოვნის უფლებას წარმოშობს, იგი თავისთავად ვერ აღწევს უფლების გადაცემის მიზანს, უფლების ფაქტობრივად გადასვლა სანივთოსა-მართლებრივი ხელშეკრულების მეშვეობით ხორციელდება,⁷ როგორც ეს გერმანულ სამართალშია, სადაც საკუთრების უფლების გადაცემისთვის საკმარისი არ არის ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, ასევე აუცილებელია შეთანხმება საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე და ნივთის მფლობელობაში გადაცემა (გსკ-ის 929-ე პარაგრაფი).⁸

ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთო ხელშეკრულების ერთმანეთისგან გამიჯვნაზე საუბრისას, ცხადია, განხილულ უნდა იქნეს მათ შორის დამოკიდებულების საკითხი. ამ მხრივ გამიჯვნის პრინციპი აბსტრაქციისა და კაუზალურ პრინციპებთან კომბინირების გზით ერთმანეთისაგან განსხვავებულ შედეგებს წარმოშობს. ეს განსხვავებული ურთიერთმიმართებები და მათი პრაქტიკულ შედეგები მომდევნო ორი ქვეთავის ფარგლებში იქნება განხილული. გამიჯვნის პრინციპის ძირითადი მახასიათებლების განხილვა სწორედ აბსტრაქციის პრინციპთან მისი მიმართების მაგალითზე მოხდება.

2.2 გამიჯვნის პრინციპის კომბინირება აბსტრაქციის პრინციპთან

გერმანული სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება აბსტრაქციის პრინციპია, რომელიც „იმდენად განსაკუთრებული და განმასხვავებელია, რომ გერმანულ სამართალს აძლევს დამახასიათებელ სტილს.“⁹ თუმცა საერთო სამართლისა და, უფრო მეტიც, ბევრი ფრანგი იურისტისათვის იგი შესაძლოა იყოს არა მხოლოდ „განმასხვავებელი“, არამედ „უსარგებლო“ და „გადაჭარბებულად აბსტრაქტული“.¹⁰

გერმანული სამართალი, როგორც ითქვა, ერთმანეთისაგან განსხვავებს გარიგებას, რომელიც წარმოშობს ვალდებულებითსამართლებრივ ურთიერთობას (*Verpflichtungsgeschäft*) და გარიგებას, რომლითაც ხდება უფლების გადაცემა, შეცვლა, შეწყვეტა ან დატვირთვა (*Verfügungsgeschäft* – განკარგვის ხელშეკრულება).¹¹ ამასთან, გერმანული სამოქალაქო სამართლის დამახასიათებელი თავისებურება ისაა, რომ მეორე ხელშეკრულების ნამდვილობა დამოუკიდებელია პირველის ნამდვილობისაგან. ზემოაღნიშნული ორი ხელშეკრულების განსხვავება და დაყოფა ცნობილია როგორც „გამიჯვნის პრინციპი“ (*Trennungsprinzip*), ხოლო სანივთო ხელშეკრულების (*Verfügungsgeschäft*) ნამდვილობის დამოუკიდებლობა ვალდებულებითის (*Verpflichtungsgeschäft*) ნამდვილობისაგან, როგორც „აბსტრაქციის პრინციპი“ (*Abstraktionsprinzip*).¹²

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გერმანულ სამართალშიც გამიჯვნისა და აბსტრაქციის პრინციპებს თავისი ტერმინოლოგიური შესატყვისები აქვთ, კერძოდ, *Trennungsprinzip* და *Abstraktionsprinzip*, თუმცა ზოგიერთი ავტორი გამიჯვნის პრინციპს მოიხსენიებს აბსტრაქციის პრინციპად – *The Principle of Separability (Abstraktionsprinzip)*.¹³ მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ აბსტრაქციის პრინციპი აუცილებლად მოიაზრებს გამიჯვნის

⁷ იქვე, 29.

⁸ იქვე.

⁹ *Zweigert/Kötz, An introduction to Comparative Law*, 71, მითითებულია: *Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract*, 2006, 27.

¹⁰ *Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract*, 2006, 27.

¹¹ იქვე.

¹² იქვე.

¹³ *Beale/Hartkamp/Kötz/Tallon, Cases, Materials and Text on Contract Law*, Oxford and Portland, Oregon, 2002, 28.

პრინციპს, თუმცა მათი ერთმანეთთან გაიგივება არასწორია, რადგან გამიჯვნის პრინციპი აბსტრაქციის პრინციპის გარეშეც არსებობს. ცვაიგერტისა და კოტცის მიხედვით, „თუკი სამართლებრივი სისტემა არა მხოლოდ განასხვავებს ნასყიდობის ხელშეკრულებას და რეალურ ხელშეკრულებას ამ გაგებით, არამედ მათ ნამდვილობას დამოუკიდებელს ხდის ერთმანეთისაგან, ეთანხმება „აბსტრაქტული რეალური ხელშეკრულების“ დოქტრინას.“¹⁴ აქედან გამომდინარე, აბსტრაქციის პრინციპისა და „რეალური აბსტრაქტული გარიგების“ არსებობისათვის საჭიროა როგორც ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნა, ასევე მათი ნამდვილობის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა. ზემოთქმულიდან შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ არსებობს სისტემები, რომლებიც მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულებების გამიჯვნას ახდენენ და მათი ნამდვილობის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობას არ აღიარებენ. ეს ხდება კაუზალური სისტემის პირობებში, რომელზეც მომდევნო თავის ფარგლებში იქნება საუბარი.

აბსტრაქციის პრინციპი მოუქნელობის გამო კრიტიკის ხშირი ობიექტია. თუმცა გერმანელები მისი არსებობის აუცილებლობის დასაბუთებისას არგუმენტად ძირითადად იყენებენ მესამე პირთა ინტერესების დაცვას და სამართლებრივი სიცხადის შექმნას.¹⁵ აბსტრაქციის პრინციპის პირობებში, როდესაც ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობა თავისთავად გავლენას არ ახდენს სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობაზე, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაშიც შემძენი ხდება მესაკუთრე, კეთილსინდისიერ მესამე პირებზე ქონების გასხვისების შემთხვევაში კი ამ უკანასკნელთ უპირატესობა ენიჭებათ თავდაპირველ მესაკუთრესთან შედარებით. ამასთან, თავდაპირველ მესაკუთრეს სავინდიკაციო სარჩელზე დაყრდნობით ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება არც თავისი კონტრაქტის მიმართ აქვს, საკუთრების უფლების უკან დაბრუნების მიღწევა მას მხოლოდ უსაფუძვლო გამდიდრების წესების გამოყენებით შეუძლია. კაუზალური სისტემის დროს კი ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების ავტომატურად გაბათილება იწვევს განსხვავებულ შედეგს, კერძოდ, გამსხვისებელი რჩება მესაკუთრედ და, შესაბამისად, შეუძლია გამოიყენოს სავინდიკაციო სარჩელი. საკუთრების უფლების გადაცემის აბსტრაქტული სისტემა იცავს მესამე პირის ინტერესებს, კაუზალური, პირიქით, უპირატესობას ანიჭებს მესაკუთრის ინტერესების დაცვას.¹⁶ აღნიშნული განსხვავება განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება შემძენის გაკოტრების გათვალისწინების შემთხვევაში.¹⁷ თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კეთილსინდისიერი შემძენის ინტერესები, როგორც წესი, დაცულია კაუზალური სისტემის პირობებშიც და, შესაბამისად, გერმანელი იურისტების არგუმენტაცია აბსტრაქციის პრინციპის არსებობის დასაბუთებლად ამ თვალსაზრისით ნაკლებად დამაჯერებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, აბსტრაქციის პრინციპი იძლევა საშუალებას, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობის მიუხედავად, სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების მეშვეობით განხორციელებული საკუთრების გადაცემის შემთხვევაშიც შემძენი გახდეს მესაკუთრე, თუმცა აბსტრაქციის პრინციპი არ იძლევა ამ საკუთრების

¹⁴ Zweigert/Kötz, Introduction to Comparative Law, 2nd edition, Oxford, 1987, 178-9. მითითებულია: Beale/Hartkamp/Kötz/Tallon, Cases, Materials and Text on Contract Law, 2002, 28.

¹⁵ Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract, 2006, 27; Sjef Van Erp, Comparative Property Law, The Oxford Hand book of Comparative Law, New York, 2006, 22.

¹⁶ Sjef Van Erp, Comparative Property Law, 2006, 22.

¹⁷ იქვე, 9.

შენარჩუნების უფლებას. ამისთვის გერმანული სამართალი იყენებს უსაფუძვლო გამდიდრების წესებს. შემძენი, მართალია, მესაკუთრე გახდა, მაგრამ საკუთრების მოპოვება მოხდა სათანადო საფუძვლის გარეშე (უსაფუძვლოდ), შესაბამისად, გამსხვისებელს უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების უკან დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებზე დაყრდნობით.¹⁸ აღსანიშნავია, რომ გერმანულ სამართალში „აბსტრაქციის პრინციპიდან გამომდინარე წესები მოქმედებს არა მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის, არამედ ჩუქების, გაცვლის და სხვა ანალოგიური გარიგებების მიმართაც, სადაც საკუთრების გადასვლასთან გვაქვს საქმე.“¹⁹

ამასთან, „აბსტრაქციის პრინციპი არ გამორიცხავს, რომ ერთმა და იმავე საფუძველმა შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს როგორც ვალდებულებითსამართლებრივი, ისე სანივთოსამართლებრივი გარიგების ნამდვილობაზე, მაგალითად, ქმედუწუნარობა (104-ე პარაგრაფი) ინვეს როგორც ნასყიდობის (433-ე პარაგრაფი), ისე საკუთრების გადაცემის ხელშეკრულების (929-ე პარაგრაფი) ბათილობას. იგივე წესი მოქმედებს მუქარის შემთხვევაში.“²⁰ თუმცა აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ „აღნიშნულ შემთხვევებში სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება ბათილია თავისი ნაკლის გამო. ბათილობა არ გამომდინარეობს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ბათილობის ფაქტიდან“.²¹

აღსანიშნავია, რომ აბსტრაქციის პრინციპი არ იყო გსკ-ის შემმუშავებელი კომისიის აღმოჩენა. იგი უკავშირდება *სავინის* სახელს, კერძოდ, *სავინი* თავის ნაშრომში „ვალდებულებითი სამართალი“ (*Obligationenrecht*)²² მიუთითებდა, რომ ვალდებულებითსამართლებრივი და გადაცემის ხელშეკრულების ნამდვილობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა ყოფილიყო შეფასებული.

გამიჯვნისა და აბსტრაქციის პრინციპებზე საუბრისას აუცილებლად უნდა იქნეს განხილული „კაუზალური“ და „აბსტრაქტული“ გარიგებები. გერმანულ სამართალში, „ზოგადი წესის მიხედვით, ყველა ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება კაუზალურია, ხოლო სანივთოსამართლებრივი (*Verfügungen*) აბსტრაქტული.“²³ „ზოგიერთი გამონაკლისის უგულებელყოფით (მაგ. 780-ე პარაგრაფი) დაშვებულია ვარაუდი, რომ ნებისმიერი ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება დამოუკიდებელი, „თავისთავად საკმარისია“ და დადებისთვის არ საჭიროებს გარეშე მიზეზს. ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, ჩვეულებრივ, თავის თავში მოიცავს მისი დადების საბაზს — კაუზას: ა ყიდის ნიგნს ბ-ზე იმ მიზნით, რომ მიიღოს ნივთის საფასური, მაშინ, როდესაც ბ იხდის ნივთის საფასურს იმ მიზნით, რომ მიიღოს ნიგნი. საპასუხო შესრულების მიღების მოცემული საფუძველი საკმარისია გარიგების არსებობისათვის.“²⁴ აღსანიშნავია ისიც, რომ „ინგლისური სამართლისაგან განსხვავებით, ჩუქებაც მიიჩნევა ასეთ საკმარის საფუძველად.“²⁵

სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულებები ვალდებულებითისგან განსხვავებით თავის თავში არ შეიცავს მათი დადების საფუძველს, რომლის გამოც ხდება უფლების გადაცემა ან შეცვლა. „აღნიშნული არის გამიჯვნის პრინციპის, ანუ გადაცემის ვალდებულების, წარმომშობი ხელშეკრულებისა და იმ ხელშეკრულების, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა უფლების რეალური გადასვლა, განსხვავების ლოგიკური შედეგი. სანივთო ხელშეკრულების

¹⁸ *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract*, 2006, 29.

¹⁹ *ჭანტურია*, *უძრავი ნივთების საკუთრება*, 1994, 153.

²⁰ *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract*, 2006, 30.

²¹ იქვე, 30.

²² იხ. *Savigny*, *Obligationenrecht*, vol 2, 1853, 256 et seq., მითითებულია: *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract*, 2006, 31.

²³ *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract*, 2006, 28.

²⁴ იქვე, 28-29.

²⁵ იქვე, 29.

ზოგადი საფუძველი არის გადაცემის ვალდებულების შესრულება. რეალური გადაცემის გარიგების გამიჯვნა გადაცემის ვალდებულების წარმომშობი გარიგებისაგან იწვევს იმას, რომ ფაქტობრივი გადაცემა უკვე აღარ არის თავისთავად ცხადი. მაგალითად, მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის ხელშეკრულება (გსკ-ის 929-ე პარაგრაფი) შეიძლება დაიდოს იმ მიზნით, რომ შეასრულოს ნასყიდობის (გსკ-ის 433-ე I პარაგრაფი) ან ჩუქების (გსკ-ის 516-ე პარაგრაფი) ხელშეკრულებიდან წარმომშობილი ვალდებულება. მაშასადამე, სანივთო აბსტრაქტული გარიგება „ნეიტრალურია“ მისი დადების მიზეზების მიმართ.²⁶

„შეჯამებისათვის: გამიჯვნის პრინციპი ნიშნავს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებისა და განკარგვის გარიგების კონცეპტუალურად ერთმანეთისგან განსხვავებას. ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა შეეხება უფლების გადაცემას, მაგრამ თავისთავად ვერ აღწევს გადაცემის მიზანს. ფაქტობრივი გადაცემა ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ განკარგვის გარიგების მეშვეობით, რომელიც საკუთრების უფლების გადასაცემად, მაგალითად, მოძრავი ნივთების შემთხვევაში, საჭიროებს კიდევ ერთ ხელშეკრულებას, კერძოდ, გადაცემის (განკარგვის, სანივთო) ხელშეკრულებას და მფლობელობის გადაცემას (გსკ-ის 929-ე პარაგრაფის I ალტერნატივა). განკარგვის ხელშეკრულება აბსტრაქტულია, ე.ი. ის თავის თავში არ შეიცავს მისი დადების საფუძველს. უმეტეს შემთხვევაში განკარგვის გარიგების საფუძველს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება ითვალისწინებს.“²⁷

„აბსტრაქციის პრინციპის არსებობა, ცხადია, გულისხმობს გამიჯვნის პრინციპის არსებობას, თუმცა მისგან არ გამომდინარეობს.“²⁸

ზემოთქმულიდან შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა: სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების აბსტრაქტულობა ნიშნავს იმას, რომ იგი თავის თავში არ შეიცავს მისი დადების საფუძველს, ხოლო სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების აღნიშნული თვისება, რომელსაც პირობითად „შინაგანი განყენებულობა“ თუ „შინაგანი აბსტრაქტულობა“ შეიძლება ეწოდოს, გამიჯვნის, და არა აბსტრაქციის, პრინციპის შინაარსში შედის.

აბსტრაქციის პრინციპი კი გულისხმობს სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების „გარეგან აბსტრაქტულობას“, კერძოდ, მისი ნამდვილობის დამოუკიდებლობას ვალდებულებითსამართლებრივი გარიგების ნამდვილობისაგან.

2. 3 გამიჯვნის პრინციპის კომბინირება კაუზალურ პრინციპთან

ზემოთ განხილულ იქნა გერმანულ სამართალში მოქმედი აბსტრაქციის პრინციპი, რომელიც გულისხმობს სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობის დამოუკიდებლობას ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობისაგან.

არსებობს ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულებების დამოკიდებულების სხვაგვარი, კერძოდ, კაუზალური სისტემა, როდესაც სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია მის საფუძველად არსებული ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობაზე.²⁹ კაუზალური, ისევე, როგორც აბსტრაქციის პრინციპი, თავისთავად გულისხმობს გამიჯვნის პრინციპსაც. ორი ხელშეკრულების დამოკიდებულებაზე მსჯელობა, ცხადია, შეუძლებელია მათი გამიჯვნის გარეშე.

²⁶ იქვე.

²⁷ იქვე.

²⁸ იქვე.

²⁹ *კერესელიძე*, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების გამოყენება, ქსმ, 600.

კაუზალური სისტემის არსებობის შემთხვევაშიც სახეზეა გამიჯვნის პრინციპი, რადგან კაუზალურ სისტემაშიც ხდება ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულებების ერთმანეთისგან გამიჯვნა, მაგრამ აბსტრაქციის პრინციპისგან განსხვავებით და საპირისპიროდ კაუზალური პრინციპის პირობებში სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობაზე. კაუზალური სისტემის მაგალითად შესაძლებელია მოყვანილ იქნეს ჰოლანდიის სამოქალაქო სამართალი, სადაც აღიარებულია სანივთო გარიგებები, თუმცა მათი ნამდვილობა დამოკიდებულია მის საფუძველად არსებულ უფლების ნამდვილობაზე.³⁰

კაუზალურ სისტემაში ვალდებულებითი და სანივთო გარიგებების არსებობის პირობებში, ცხადია, მიზანშეწონილია მათი სამართლებრივი ბუნების ანალიზი.

რა სახისაა კაუზალურ სისტემაში ვალდებულებითი და სანივთო გარიგებები? აკმაყოფილებს თუ არა ამ შემთხვევაშიც ვალდებულებითი ხელშეკრულება კაუზალურობის, ხოლო სანივთო აბსტრაქტულობის კრიტერიუმებს?

ზემოთ საუბარი იყო სანივთო გარიგების „შინაგან“ და „გარეგან“ აბსტრაქტულობაზე. ამასთან, აღინიშნა, რომ პირველი მათგანი განხილულ უნდა იქნეს გამიჯვნის, ხოლო მეორე აბსტრაქციის პრინციპის შინაარსში. თუკი სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების „შინაგანი აბსტრაქტულობა“ შედის გამიჯვნის პრინციპის შინაარსში, ხოლო გამიჯვნის პრინციპი კაუზალური სისტემის პირობებშიც არსებობს, შესაბამისად, აბსტრაქტული გარიგებები არც კაუზალური სისტემისთვის არის უცხო. თუკი სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების „შინაგან აბსტრაქტულობაში“ იგულისხმება ის, რომ სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება თავის თავში არ შეიცავს მისი დადების საფუძველს და მისი მუშევრებით მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებით წარმოშობილი ვალდებულების შესრულება ხდება, ამ მხრივ, კაუზალური პრინციპის პირობებში აბსტრაქციის პრინციპთან შედარებით არაფერი იცვლება. კაუზალური სისტემის პირობებშიც სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება თავის თავში არ შეიცავს მისი დადების საფუძველს, მაგრამ, თუკი სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების როგორც „შინაგანი“ (რომ იგი არ მოიცავს მისი დადების საფუძველს თავის თავში), ისე „გარეგანი“ (რომ მისი ნამდვილობა დამოუკიდებელია ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობისაგან) აბსტრაქტულობა მოაზრებული იქნება აბსტრაქციის პრინციპის შინაარსში, მაშინ შესაძლებელია გაკეთდეს ზემოთ მოყვანილი პოზიციისგან განსხვავებული დასკვნა. კერძოდ, როგორც „შინაგანი“, ისე „გარეგანი“ აბსტრაქციის არსებობა შეუძლებელია კაუზალური სისტემის პირობებში. ასეთ შემთხვევაში დაისმის კითხვა, თუ რა სახისაა სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება კაუზალური სისტემის პირობებში?! არის იგი შინაგანად ისევე კაუზალური, როგორც ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, თუ არის, მაშინ რას წარმოადგენს მისი „შინაგანი“ კაუზა?

კაუზალურ სისტემაში სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების „გარეგანი“ კაუზალურობა, რაშიც იგულისხმება მისი ნამდვილობის დამოკიდებულება ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების ნამდვილობაზე, ეჭვს არ უნდა იწვევდეს. მაგრამ მის „შინაგან კაუზალურობაზე“ დარწმუნებით საუბარი არცთუ იოლია. განსხვავებული აზრის მომხრეებმა შესაძლებელია ამტკიცონ, რომ სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების „გარეგანი“ კაუზალურობა თავისთავად გულისხმობს მის „შინაგან“ კაუზალურობასაც. თუმცა მსგავსი მოსაზრება დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება, რადგან ერთი ხელშეკრულების მეორეზე

³⁰ *ჭეჭელაშვილი*, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, ქართული კერძო სამართლის კრებული, წიგნი I, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბილისი, 2004, 96-97.

დამოკიდებულება არაფერს ცვლის პირველის შინაგანი დამოუკიდებლობის თვალსაზრისით. სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება კაუზალურ სისტემაში „შინაგანად“ ისევე აბსტრაქტული რჩება, როგორც აბსტრაქციის პრინციპის პირობებში. განსხვავება მხოლოდ გარეგანი დამოკიდებულების ხასიათშია. პირველ შემთხვევაში (კაუზალურ სისტემაში) სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება „გარეგანად“ დამოკიდებულია ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებაზე, ხოლო მეორე შემთხვევაში (აბსტრაქციის სისტემა) ეს დამოკიდებულება არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ გამიჯვნის პრაქტიკული დანიშნულება სწორედ აბსტრაქციის პრინციპთან კომბინირების პირობებში ვლინდება. ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთო ხელშეკრულებების მკაცრი კონცეპტუალური გამიჯვნა მათი ნამდვილობის ერთმანეთზე დამოკიდებულების პირობებში პრაქტიკულ სამართლებრივ დატვირთვას მოკლებულია.

2. 4 გამიჯვნისა და ერთიანობის პრინციპების განსხვავება

გამიჯვნის პრინციპის საპირისპიროდ არსებობს ე. წ. „ერთიანობის პრინციპი“, რომლის პირობებშიც არ ხდება ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულებების დაყოფა და ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, მაგალითად, ნასყიდობა და ნივთის გადაცემა, განიხილება ერთიან აქტად.³¹ ამასთან, საკუთრების გადასასვლელად გარკვეულ შემთხვევებში საკმარისია მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, რაც იმას ნიშნავს, რომ საკუთრება შემძენზე გადასულად ითვლება შესაბამისი ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისთანავე (ე. წ. „ნმინდა ხელშეკრულების“ პრინციპი).³² ზოგჯერ კი საკუთრების გადასვლა შესაძლებელია განხორციელდეს „ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ რეალურ აღსრულებასთან მჭიდრო კავშირში. მეორე ფორმა ძველ გერმანულ სამართალში არსებობდა და იგი დღეს პრაქტიკულად არ გამოიყენება. პირველი ფორმა განმტკიცებულია საფრანგეთის სამოქალაქო სამართალში, ასევე რომანულ და სკანდინავიის ქვეყნების სამართალში. ინგლისური სამართალიც იცნობს მას მოძრავი ნივთების მიმართ.“³³

ფსკ, როგორც ითქვა, განამტკიცებს „ერთიანობის“, კერძოდ „ნმინდა ხელშეკრულების“, პრინციპს. იგი არ ახდენს ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთო გარიგებების გამიჯვნას იმ სახით, როგორც ეს გერმანულ სამართალშია და ხელშეკრულებათა სხვაგვარ კლასიფიკაციას ითვალისწინებს. ფრანგულ სამართალში საკუთრების უფლების მოპოვების ერთ-ერთი გზა არის ხელშეკრულება,³⁴ ამასთან, მოქმედი ზოგადი წესის მიხედვით, საკუთრების უფლების გადასვლა ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე ხორციელდება, რაც გულისხმობს იმას, რომ ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე შემძენი ხდება მესაკუთრე. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისები, რომლებიც კონსენსუალიზმის შეზღუდვად განიხილება.³⁵

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკუთრების უფლების გადასვლის თვალსაზრისით, ხელშეკრულების დადების მომენტს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. ხელშეკრულებათა

³¹ *ჭანტურია*, უძრავი ნივთების საკუთრება, 1994, 155.

³² იქვე, 155.

³³ იქვე.

³⁴ *Simler*, Les biens, 3^e édition, Presses Universitaires de Grenoble, Grenoble, 2006, 90.

³⁵ *Fages*, Droit des obligations, L.G.D.J., Paris, 2007, 28.

კლასიფიკაცია სხვადასხვა კრიტერიუმით ხორციელდება, მაგრამ საკუთრების უფლების გადაცემასთან მიმართებით მოცემული თემის ინტერესის სფეროში შედის ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია მათი დადების წესის საფუძველზე. ამ ნიშნის მიხედვით, ფრანგული სამართალი ხელშეკრულებებს სამ კატეგორიად ყოფს, კერძოდ: კონსენსუალურ, სავალდებულო ფორმის (კანონით დადგენილ) და რეალურ ხელშეკრულებებად.

კონსენსუალურ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება ხელშეკრულებები, რომელთა დადებაც მხოლოდ მხარეთა შეთანხმების (*solo consensu*) შედეგად ხდება ისე, რომ დამატებითი ფორმლობის დაცვა არ მოითხოვება. ხელშეკრულებათა ძირითადი ნაწილი სწორედ ამ კატეგორიაში შედის და, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ზოგადი ნორმა ხელშეკრულების დადებისათვის. რაც შეეხება თავად შეთანხმებას, ხელშეკრულების დადების ნება შესაძლებელია გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით: წერილობით, ზეპირად, კონკლუდენტურად და ზოგჯერ დუმილითაც. არჩევანი მხარეთა სურვილზეა დამოკიდებული.³⁶ კონსენსუალური ხელშეკრულების მაგალითია ნასყიდობის ხელშეკრულება.

სავალდებულო ფორმისა ხელშეკრულებები, რომელთა დადებისას დაცულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი სავალდებულო ფორმა. ასეთი სავალდებულო ფორმა კი შესაძლებელია იყოს სანოტარო ან მარტივი წერილობითი. აღსანიშნავია, რომ სანოტარო ფორმა სჭირდება ჩუქების ხელშეკრულებას (931-ე მუხლი). ხელშეკრულებათა რიცხვი, რომელთაც სანოტარო ფორმის მოთხოვნა ნაყენებთ, დღითიდღე იზრდება. აღნიშნული განპირობებულია სუსტი და სამართლებრივად ნაკლებად დაცული მხარის ინტერესების დაცვის მიზნით.³⁷

რეალურ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა დადებისათვის საჭიროა, მხარეთა შეთანხმება გამყარებული იყოს ქმედებით – ნივთის გადაცემით. სხვაგვარად რომ ითქვას, ასეთი ხელშეკრულები დადებულად ითვლება არა შეთანხმების, არამედ ნივთის გადაცემის მომენტიდან. რეალური ხელშეკრულებებია: დეპოზიტის ხელშეკრულება, სესხი. აღსანიშნავია, რომ გადაცემით ჩუქებაც, ე. წ. *Don manuel*,³⁸ რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას განეკუთვნება.³⁹

სავალდებულო ფორმისა და რეალური ხელშეკრულებები საფრანგეთში კონსენსუალობის შეზღუდვად განიხილება. ერთი მხრივ, შეზღუდვა შეიძლება იყოს ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის მარტივი წერილობითი ან სანოტარო ფორმის დაცვა, მეორე მხრივ კი, გარკვეული მოქმედების შესრულების, კერძოდ ნივთის გადაცემის, აუცილებლობა. აღნიშნული შეზღუდვები განპირობებულია მტკიცების, უზრუნველყოფისა და საჯაროობის მოთხოვნებით. საჯაროობის მოთხოვნის დაკმაყოფილება, რომლის მიზანიც სამართლებრივი ურთიერთობების მესამე პირთათვის გაცნობაა, შესაძლებელია განხორციელდეს რეგისტრაციის გზით, ან ნივთის უშუალოდ მფლობელობაში გადაცემით, მაგალითად, გაყიდული ან ნაჩუქარი ნივთის გადაცემით.

რაც შეეხება მტკიცების საკითხს, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1341-ე მუხლის თანახმად, გარიგებები, რომელთა ღირებულებაც აღემატება 800 ევროს, უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევამ შესაძლებელია შექმნას სირთულე გარიგების არსებობის მტკიცებისას.⁴⁰

³⁶ *Voirin/Goubeaux, Droit Civil, Tome 1, 30^e édition, L. G. D. J., Paris, 2005, 343; Montanier, Le contrat, 4^e édition, Presses Universitaires de Grenoble, Grenoble, 2005, 18.*

³⁷ იქვე, 343; 18.

³⁸ იგულისხმება ჩუქების ხელშეკრულება, რომლის დადებაც ხდება ნაჩუქარი ნივთის ხელიდან ხელში გადაცემით.

³⁹ *Voirin/Goubeaux, Droit Civil, Tome 1, 2005, 344; Jean-Claude Montanier, Le contrat, 2005, 18.*

⁴⁰ *Montanier, Le contrat, 2005, 115-117.*

ფრანგულ სამართალში მოქმედი ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, რომლის მიხედვითაც შეთანხმების მომენტიდან, ნივთის გადაცემის მიუხედავად, მყიდველი ხდება მესაკუთრე, შემძენს ეკისრება ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი.⁴¹

ზოგადი წესის თანახმად, დამატებითი მოთხოვნა საკუთრების უფლების გადაცემისათვის მოძრავ ნივთებთან მიმართებით არ არსებობს. თუმცა ფსკ-ის მიხედვით, გამყიდველის მიერ ნივთის რამდენჯერმე გასხვისების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება, ე.ი. საკუთრებას მოიპოვებს ის მყიდველი, რომლის მფლობელობაშიც იმყოფება ნივთი. აღნიშნული მუხლი გარკვეულწილად ეწინააღმდეგება ფრანგულ სამართალში დამკვიდრებულ კონსენსუალობის პრინციპს, რადგან თუკი ნივთზე საკუთრების უფლება შემძენს წარმოეშობა ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე, თავისთავად ნივთის გამსხვისებელი კარგავს მასზე საკუთრების უფლებას, შესაბამისად, მას აღარ გააჩნია ნივთის განკარგვის უფლებამოსილება. არაუფლებამოსილი პირის მიერ ნივთის განკარგვა კი არ უნდა ინვევდეს საკუთრების უფლების წარმოშობას მესამე პირისათვის, თუნდაც ამ უკანასკნელის მიერ ნივთზე მფლობელობის მოპოვების შემთხვევაში, რადგან საფრანგეთში ნივთზე მფლობელობის გადაცემა, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, არ არის საკუთრების უფლების გადაცემის სავალდებულო მოთხოვნა. გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს კეთილსინდისიერ შემძენთან მიმართებით, კერძოდ, თუკი მესამე პირი, რომელიც იძენს საკუთრებას არამესაკუთრისაგან (იგულისხმება პირი, რომელმაც ერთხელ უკვე გაასხვისა ნივთი და, შესაბამისად, გადასცა შემძენს საკუთრების უფლება), კეთილსინდისიერია ამ ფაქტის მიმართ (ანუ არ იცის და არც შეიძლება სცოდნოდა არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელებული განკარგვის შესახებ), იგი მოიპოვებს საკუთრების უფლებას ნივთზე, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნივთი იმყოფება მის მფლობელობაში. თუმცა, მესამე პირთა ინტერესების დაცვის თვალსაზრისითაც, გადამწყვეტი ისევე მფლობელობის მომენტი ხდება. თუკი ერთხელ ნივთის გასხვისების თაობაზე შეთანხმების მომენტიდან საკუთრების უფლება გადადის შემძენზე და, შესაბამისად, გამსხვისებელი კარგავს საკუთრების უფლებას, მის მიერ ყოველი მომდევნო გასხვისების დროს კეთილსინდისიერ შემძენთა არსებობის შემთხვევაშიც უპირატესობა ენიჭება კეთილსინდისიერ შემძენს, რომლის მფლობელობაშიც იმყოფება ნივთი.

მფლობელობის ფაქტისათვის უპირატესობის მინიჭებით ფრანგულ სამართალში გარკვეულწილად ირღვევა „წმინდა ხელშეკრულების“ პრინციპი. რა სამართლებრივი დატვირთვა აქვს „წმინდა ხელშეკრულების“ პრინციპს, თუკი გადამწყვეტი ხდება ნივთის მფლობელობაში გადაცემა, მით უმეტეს, თუ გათვალისწინებული იქნება, რომ აღნიშნული პრინციპი, ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკის გადასვლის თვალსაზრისით, არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს შემძენს, რომელიც შეთანხმების მომენტიდან მფლობელობის მოპოვების გარეშე ხდება მესაკუთრე და, ამასთან, ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში საფრთხეს უქმნის შემძენის მიერ საკუთრების უფლების მოპოვებას. მფლობელობისათვის ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭება შესაძლებელია განპირობებული იყოს ზემოთ უკვე აღნიშნული საჯაროობის მოთხოვნით, თუმცა ასეთი საჯაროობის მოთხოვნის სავალდებულო დაცვა კონსენსუალური ხელშეკრულებებისთვის, რომელთა მიმართაც არ მოქმედებს კონსენსუალობის შეზღუდვები, შესაბამისად, მათი დადებისათვის სპეციალური ფორმის დაცვა ან ნივთის გადაცემა არ მოითხოვება, გაუმართლებელია.

⁴¹ ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2003, 141.

3. ქართული სამართლის არჩევანი – გამიჯვნის თუ ერთიანობის პრინციპი?

საინატერესოა, საკუთრების გადაცემის რომელ სისტემას ირჩევს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი – ამკვიდრებს გამიჯვნის პრინციპს, თუ არჩევანს ერთიანობის პრინციპზე აჩერებს? პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ, სსკ-ის ნორმების ფორმულირებიდან გამომდინარე, არცთუ ნათელია, რომელ სისტემას ემყარება იგი.

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში საუბარია სანივთო გარიგების არსებობაზე და აღნიშნულია, რომ სანივთო გარიგება, რომელიც მიმართულია სანივთო უფლების წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ახალი მოვლენაა ქართულ სამოქალაქო სამართალში.⁴² ქართულ სამართალში, ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებასთან ერთად, სანივთო გარიგების აღიარება იძლევა გამიჯვნის პრინციპის მოქმედებაზე მსჯელობის შესაძლებლობას, თუმცა ქართულ სამოქალაქო სამართალში გამიჯვნის პრინციპის არსებობა არცთუ აღიარებული ფაქტია.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნათქვამია, რომ „ქართველმა კანონმდებელმა უარი თქვა აბსტრაქციის პრინციპზე, რომელიც ხელშეკრულების დუალისტურ სანყისებზეა აგებული. ამ მოძღვრებით ნასყიდობისას იდება არა მარტო ვალდებულებითსამართლებრივი, არამედ სანივთოსამართლებრივი გარიგება, რაც ამ ნივთის გადაცემაში გამოიხატება. ქართული სამართალი ხელშეკრულების თვისებრივი ერთიანობის გზას დაადგა, ამიტომაცაა, რომ, მისი გაგებით, აღნიშნულ შემთხვევაში სახეზეა მარტოოდენ ვალდებულებითსამართლებრივი გარიგება ნასყიდობისა.“⁴³

გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბებულმა ქართულმა კერძო სამართალმა მართლაც უარი თქვა აბსტრაქციის პრინციპზე, მაგრამ რა შეიძლება იგულისხმებოდეს ხელშეკრულების „თვისებრივ ერთიანობაში“? საუბარია „ერთიანობის“ პრინციპზე, თუ იგულისხმება ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულებების ნამდვილობის ერთმანეთზე დამოკიდებულება? თუკი „თვისებრივ ერთიანობაში“ იგულისხმება „ერთიანობის პრინციპი“, რამდენად დაადგა ქართული სამოქალაქო სამართალი ხელშეკრულების თვისებრივი ერთიანობის გზას, თუკი ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებასთან ერთად აღიარა სანივთო გარიგებაც? ხოლო თუ „თვისებრივ ერთიანობაში“ ნაგულისხმევია ვალდებულებითი და სანივთო გარიგებების ერთმანეთზე დამოკიდებულება, მაშინ ფაქტია, რომ ხდება ამ ორი გარიგების ერთმანეთისაგან გამიჯვნა და, შესაბამისად, შესაძლებელია საუბარი ქართულ სამოქალაქოსამართლებრივ სივრცეში გამიჯვნის პრინციპის არსებობაზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული მსჯელობა ძირითადად შეეხება კაუზალურ და აბსტრაქტულ გარიგებებს⁴⁴ და არა გამიჯვნის პრინციპს. თუმცა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს, რომ კაუზალურ და აბსტრაქტულ გარიგებებზე საუბრისას, რომელშიც ავტორი, სავარაუდოდ, ზემოთ განხილულ ვალდებულებით (*Verpflichtungsgeschäft*) და განმკარგავ (*Verfügung*) გარიგებებს მიიჩნევს, თავისთავად მოიაზრება გამიჯვნის პრინციპი, რადგანაც წარმოუდგენელია ორ სხვადასხვა სახის გარიგებაზე მსჯელობა, მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნის გარეშე. არსებობს მოსაზრებაც, რომ სსკ-მა აირჩია შუალედური მიდგომა, კერძოდ, შეთანხმებისა და გადაცემის სისტემა.⁴⁵

⁴² იქვე, 9.

⁴³ იქვე, 10.

⁴⁴ *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, სამართალი, თბილისი, 2000, 325-328.

⁴⁵ *ჭეჭელაშვილი*, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, 2004, 96-98.

ქართულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის არსებობაზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილი და სახელშეკრულებო სამართლის ნაწილში მოცემული საკუთრების უფლების გადამცემი ცალკეული ხელშეკრულებების მომწესრიგებელი თავის პირველივე მუხლები, რომლებშიც მოცემულია შესაბამისი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ძირითადი მოთხოვნის უფლებები. მათგან არსებითი მნიშვნელობისაა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც, გერმანული სამართლის მსგავსად, ქართულ სამართალშიც შეიძლება მიჩნეულ იქნას „ტიპურ ხელშეკრულებად“.⁴⁶

სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. მოცემული ნორმიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს საკუთრების, უფრო ზუსტად კი, ნივთის გადაცემას და იმ უფლებას, რომლის საფუძველზეც ხდება გადაცემა. საინტერესოა, რა იგულისხმება თითოეულ მათგანში, გულისხმობს აღნიშნული მუხლი შეთანხმებისა და გადაცემის ერთიანობას, თუ სსკ-ის 186-ე მუხლის I ნაწილში მოხსენიებული „ნამდვილი უფლება“, რომელიც საკუთრების გადაცემის საფუძველად განიხილება, საკუთრების უფლების გადაცემის გარიგების კაუზაა, რომელიც შეიძლება იყოს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება? პირველ შემთხვევაში სახეზე იქნება შეთანხმებისა და გადაცემის სისტემა, მეორე შემთხვევა კი მოიაზრებს გამიჯვნის პრინციპს.

სსკ-ის 186-ე მუხლში, როგორც ითქვა, მოხსენიებულია „ნამდვილი უფლება“ და ნივთის გადაცემა. ინტერესმოკლებული არ იქნება გაანალიზდეს, თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს თითოეულ მათგანში.

პირველ რიგში, განხილულ იქნება, თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს ნამდვილ უფლებაში, ან საიდან წარმოიშობა აღნიშნული უფლება?!

„ნამდვილ უფლებაში“ უნდა მოიაზრებოდეს საკუთრების უფლების გადაცემის ნამდვილი საფუძველი. სხვაგვარად რომ ითქვას, საკუთრების გადაცემისათვის საჭიროა გარკვეული საფუძველი, რომელიც შეუძლებელია თავისთავად გამომდინარეობდეს საკუთრების გადაცემიდან, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, საკუთრების გადაცემა თავის თავში არ შეიცავს გადაცემის საფუძველს.⁴⁷ ხშირად ასეთია ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლება, თუმცა ეს უკანასკნელი არ არის საკუთრების გადაცემის საფუძველად არსებული უფლების ერთადერთი სახე, საკუთრების უფლების გადაცემას შეიძლება ჰქონდეს სხვა საფუძველი, შესაბამისად, კაუზა შეიძლება გამომდინარეობდეს არა მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებიდან, არამედ კანონიდან, მაგალითად, დელიქტის შემთხვევაში.⁴⁸

სამართლებრივ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ სსკ-ის 186-ე მუხლის ტექსტში დაშვებულია მექანიკური შეცდომა, კერძოდ, „ნამდვილი უფლების“ ნაცვლად მითითებული უნდა იყოს „ნამდვილი გარიგება“.⁴⁹ აღნიშნული მოსაზრება დასაბუთებულად ვერ ჩაითვლება. სსკ-ის 186-ე მუხლში გამოყენებული ტერმინი „ნამდვილი უფლება“ სწორად გამოხატავს საკუთრების გადაცემის საფუძვლის არსს, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, საკუთრების

⁴⁶ იხ. *Schröder, Lehrbuch*, 64, ციტირებულია: *Huebner, History of Germanic Private Law*, 1 v. Boston: Little, Brown, and Company, 1918, 545, მითითებულია: <http://www.heinonline.org/HOL/Page?handle=hein.beal/hogpl0004&id=1&size=2&collection=beal&index=beal/sub80lebad>. 14. 02. 2008.

⁴⁷ იხ. ზემოთ, სქ. 26.

⁴⁸ *Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract*, 2006, 29.

⁴⁹ *ჭეჭელაშვილი*, საკუთრების უფლების გადაცემა მოძრავ ნივთებზე, 2004, 97.

გადაცემას ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების და, ზოგადად, გარიგების გარდა, შესაძლებელია საფუძვლად ედოს უფლება, რომელიც კანონიდან გამომდინარეობს. ასეთ შემთხვევაში საკუთრების გადაცემის საფუძვლად „ნამდვილი გარიგების“ არსებობაზე მითითება არამართებულია.⁵⁰

რაც შეეხება ნივთის გადაცემას, მასში ერთდროულად უნდა მოიაზრებოდეს როგორც სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება, ისე ნივთის მფლობელობაში გადაცემა. ნივთის მფლობელობაში გადაცემით, რომელიც, სსკ-ის 186-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შესაძლებელია სხვადასხვა სახით გამოიხატოს, კონკლუდენტურად ხდება სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებაც და მფლობელობის გადაცემაც. მხარეები გამოხატავენ, ერთი მხრივ, ნივთის საკუთრებაში გადაცემის და, მეორე მხრივ, ნივთის საკუთრებაში მიღების ნებას.

სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილი განსხვავდება გსკ-ის 929-ე პარაგრაფისაგან, რომელიც ითვალისწინებს მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემის წესს. მოცემულ პარაგრაფში აღნიშნულია, რომ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადასაცემად საჭიროა შემძენისათვის ნივთის გადაცემა და მხარეთა შეთანხმება საკუთრების უფლების გადასვლის შესახებ. ქართულ სამართალში მოქმედი ნორმა, რომელიც მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემას ითვალისწინებს, არ ჰგავს გერმანულ სამართალში არსებულ მის ანალოგს, კერძოდ სსკ-ის 186-ე მუხლში არ არსებობს მითითება საკუთრების გადაცემის თაობაზე შეთანხმების შესახებ და მოცემული განსხვავება შესაძლებელია ბადაბედეს კითხვას: რატომ არ მოხდა გერმანული სამართლის რეცეფციის შედეგად ჩამოყალიბებულ ქართულ სამართალში გსკ-ის 929-ე პარაგრაფის უცვლელად გადმოღება?

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 186-ე მუხლში აბსტრაქციის პრინციპზე დამყარებული გერმანული კოდექსისაგან განსხვავებით, „ნამდვილი უფლების“ მოხსენიება განპირობებულია ქართული სამართლის მიერ აბსტრაქციის პრინციპზე უარის თქმითა და კაუზალურ პრინციპზე არჩევანის შეჩერებით. გსკ-ში 929-ე პარაგრაფში „ნამდვილი უფლების“ მოხსენიების საჭიროება არ დგება, რადგან გერმანიაში საკუთრების უფლების გადაცემას არ სჭირდება „ნამდვილი უფლება“, საკუთრების უფლების გადაცემა ნამდვილია „ნამდვილი უფლების“ გარეშე გადაცემის შემთხვევაშიც. „ნამდვილი უფლება“ მხოლოდ საკუთრების შენარჩუნების საშუალებაა. ამრიგად, გსკ-ის 929-ე პარაგრაფსა და სსკ-ის 186-ე მუხლის I ნაწილს შორის არსებულ ერთ განსხვავებას აქვს თავისი საფუძველი, მაგრამ არსებობს თუ არა ასეთივე საფუძველი სხვა განსხვავებებთან მიმართებით? კერძოდ, არსებობს თუ არა საფუძველი იმისათვის, რომ ქართული კოდექსი გერმანულიაგან განსხვავებით საუბრობს მხოლოდ ნივთის გადაცემაზე და არ მოიხსენიებს გსკ-ის 929-ე პარაგრაფში მოცემულ (სანივთო) შეთანხმებას? არის ეს უბრალოდ კანონმდებლობის ხარვეზი თუ კანონმდებელი ამით ქართულ კოდექსში განსხვავებული მიდგომის დამკვიდრებას შეეცადა? აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გასაცემად შესაძლებელია პრაქტიკული მნიშვნელობის იყოს სსკ-ის 477-ე მუხლისა და გსკ-ის 433-ე პარაგრაფის შედარება.

გსკ-ის 433-ე პარაგრაფის I აბზაცის I ალტერნატივის მიხედვით, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ვალდებულია, მიაწოდოს ნივთი და გადასცეს საკუთრების უფლება მყიდველს. ამ ნორმასთან დაკავშირებით, შესაძლებელია შენიშნულ იქნეს, პირველ რიგში ის, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველი მხოლოდ კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს საკუთრების უფლება და ნივთი (და არა გადასცემს), მეორე, საკუთრების უფლების

⁵⁰ მოცემული თემის ფარგლებში მნიშვნელოვანია და, შესაბამისად, განხილვის საგანს წარმოადგენს საკუთრების უფლების გადაცემის სახელშეკრულებო საფუძველი.

და ნივთის გადაცემისათვის მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება არ არის საკმარისი და, მესამეც, ერთმანეთისაგან არის გამიჯნული ნივთის გადაცემა და საკუთრების უფლების გადაცემა.

433-ე პარაგრაფის I აბზაცის I ალტერნატივის ასეთი სახით ჩამოყალიბება გერმანულ სამართალში განპირობებულია გამიჯვნის პრინციპის არსებობით და თავისი სამართლებრივი დატვირთვა აქვს, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, გერმანულ სამართალში ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებით არ ხდება საკუთრების გადაცემა, მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულება წარმოიშობა – მოვალე კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს საკუთრების უფლება. საკუთრების უფლების გადასაცემად კი საჭიროა ცალკე შეთანხმება, სანივთოსამართლებრივი გარიგების სახით, რომელშიც ვლინდება საკუთრების უფლების გადაცემის, და არა გადაცემის ვალდებულების აღების, ნება. გარდა ამისა, საჭიროა ნივთის მფლობელობაში გადაცემა.

433-ე პარაგრაფის I აბზაცის I წინადადების მსგავს, თუ არა იდენტურ, ნორმას ითვალისწინებს სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილი, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, შესაძლებელია აღებულ იქნეს სანიმუშოდ სახელშეკრულებო სამართლის ნაწილში მოცემული ცალკეული ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმათაგან და გამოყენებულ იქნეს არგუმენტად ქართულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის დასაბუთებისათვის.

სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანოდოს ნივთი. მოცემული მუხლი გსკ-ის 433-ე პარაგრაფის I აბზაცის I ალტერნატივის მსგავსად საუბრობს მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებაზე და არა თავად საკუთრების გადაცემაზე. ამასთან, მასში, გერმანული ანალოგის მსგავსად, ერთმანეთისაგან გამოყოფილია საკუთრების უფლების გადაცემა და ნივთის გადაცემა.

უკვე აღინიშნა, რომ გერმანულ სამართალში 433-ე პარაგრაფის შინაარსი განპირობებულია გამიჯვნის პრინციპის არსებობით. რამდენად შესაძლებელია, იგი სხვა დატვირთვას ატარებდეს ქართულ სამართალში და თუ არის შესაძლებელი, რა შეიძლება იყოს სსკ-ის 477-ე მუხლის სწორედ ამგვარად ჩამოყალიბების საფუძველი?

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოცემული სახის დეფინიციას მხოლოდ 477-ე მუხლი არ შეიცავს. სსკ-ის ვალდებულებითი სამართლის სახელშეკრულებო სამართლის ნაწილში მოცემული ცალკეული ხელშეკრულებების მომწესრიგებელი თავების პირველსავე მუხლებში⁵¹ გამოყენებულია ტერმინები: „კისრულობს ვალდებულებას“, „მოვალეა“, „ვალდებულია“. აღნიშნულიდან შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ქართულ სამართალშიც, გერმანულის მსგავსად, ვალდებულებითი სამართლის ნაწილში მოცემული ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებით თავისთავად არ ხდება საკუთრების უფლების გადაცემა, შეცვლა ან შეწყვეტა. ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება მხოლოდ წარმოშობს სანივთო უფლების გადაცემის, შეცვლის ან შეწყვეტის ვალდებულებას. შესაბამისად, საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა სხვა სამართლებრივი საშუალება. გერმანულ სამართალში ასეთი საშუალება არის სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება და ნივთის მფლობელობაში გადაცემა. რას წარმოადგენს იგი ქართულ სამართალში?

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 477-ე მუხლი და, ზოგადად, სახელშეკრულებო სამართლის თავში მოცემული ცალკეულ ხელშეკრულებათა ფორმულირებები გამორიცხავენ ქართულ სამართალში „წმინდა ხელშეკრულების“ პრინციპის არსებობაზე მსჯელობის შესაძლებლობას,

⁵¹ გამონაკლისია სსკ-ის 524-ე, 592-ე და 623-ე მუხლები.

რადგან, აღნიშნული პრინციპის თანახმად, სწორედ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებით ხდება საკუთრების უფლების გადაცემა და, შესაბამისად, ცალკეული ხელშეკრულების მომწესრიგებელი მუხლების ფორმულირებაც ქართულისაგან განსხვავებულია. მაგალითად, ფსკ-ის 1582-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობა არის ხელშეკრულება, რომლის მეშვეობითაც ერთი მხარე ვალდებულია, გადასცეს ნივთი და მეორე მხარე – გადაიხადოს ამ ნივთის საფასური. ამ ნორმაში საუბარია გამყიდველის მხრიდან მხოლოდ ნივთის, და არა საკუთრების უფლების, გადაცემის ვალდებულებაზე; 1583-ე მუხლში კი მითითებულია, რომ საკუთრება გადადის ხელშეკრულების საგანსა და ფასზე შეთანხმების მომენტიდან, ნივთის მიწოდებისა და ფასის გადახდის მიუხედავად. ქართულ სამართალში „წმინდა ხელშეკრულების“ პრინციპს გამოირიცხავს როგორც სახელშეკრულებო სამართლის ნორმები, ისე სსკ-ის 186-ე მუხლის I ნაწილი, რომლითაც საკუთრების უფლების გადაცემისათვის, „ნამდვილ უფლებასთან“ ერთად, მოითხოვება ნივთის მფლობელობაში გადაცემა.

რაც შეეხება ე.წ. „შუალედურ პრინციპს“, რომლის დროსაც საკუთრების უფლების მოპოვება ხდება შეთანხმებისა და გადაცემის გზით, ქართული სამართლის მიერ მისი გაზიარების შემთხვევაში საჭიროებას მოკლებულია 477-ე მუხლში საკუთრების უფლების გადაცემისა და ნივთის გადაცემის ერთმანეთისგან გამოყოფა, როგორც ეს გსკ-ის 433-ე პარაგრაფშია. სავსებით საკმარისია ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებასთან ერთად ნივთის გადაცემა. სხვაგვარად რომ ითქვას, თუკი სსკ იზიარებს „შუალედურ პრინციპს“ და, შესაბამისად, საკუთრების უფლების წარმოშობას ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებისა და ნივთის გადაცემის ერთიანობას უკავშირებს, სრულიად ზედმეტია საკუთრების უფლებისა და ნივთის გადაცემის ვალდებულების ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ასეთ შემთხვევაში საკმარისი იქნებოდა, კანონმდებელს 477-ე მუხლი შემდეგნაირად ჩამოეყალიბებინა: ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, ნივთის გადაცემით გადასცეს მყიდველს მასზე საკუთრების უფლება, ან ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი ნივთის გადაცემის გზით გადასცემს მყიდველს საკუთრების უფლებას. ამგვარი ფორმულირება უკეთ გამოხატავდა საკუთრების გადაცემის „შუალედური პრინციპის“ არსს, მაგრამ, როგორც ჩანს, კანონმდებელს არჩევანი ე.წ. „შუალედურ პრინციპზე“ არ შეუჩერებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გერმანულ სამართალში საკუთრების უფლების გადაცემის ფორმულა შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს: საკუთრების უფლების გადაცემა = სანივთოსამართლებრივ ხელშეკრულებას + ნივთის მფლობელობაში გადაცემა. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შესაძლებელია სამგვარად განხორციელდეს. ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება საკუთრების უფლების გადაცემის ფორმულაში არ შეიტანება, რადგან გერმანულ სამართალში აბსტრაქციის პრინციპის მოქმედების შედეგად საკუთრების უფლების გადაცემისათვის ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებას არ ენიჭება გადაამწყვეტი მნიშვნელობა. ამიტომაც არ ხდება საჭირო გსკ-ის 929-ე პარაგრაფში ნამდვილი უფლების შეტანის საჭიროება.

ფრანგული სამოქალაქო სამართლის მიხედვით, საკუთრების უფლების გადაცემის ფორმულა გერმანულისაგან განსხვავებულია. ზოგადი ფორმულა შემდეგი სახისაა: საკუთრების უფლების გადაცემა = ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებას. თუმცა გამონაკლის შემთხვევებში საკუთრების უფლების გადაცემისათვის საჭიროა კანონით დადგენილი ფორმის დაცვა ან ნივთის გადაცემა.

რაც შეეხება ქართულ სამართალში არსებულ ფორმულას, 186-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ეს არის: ნამდვილ უფლებას (ხშირ შემთხვევაში ვალდებულებითსამართლებრივ

ხელშეკრულებას) + ნივთის გადაცემა. იქიდან გამომდინარე, რომ საუბარია ქართულ სამართალში კაუზალური პრინციპისა და სანივთო გარიგების არსებობაზე, ნივთის გადაცემა, თავის მხრივ, უნდა მოიცავდეს შეთანხმებას – სანივთოსამართლებრივ ხელშეკრულებას საკუთრების გადაცემის შესახებ და ნივთის მფლობელობაში გადაცემას. ნივთის გადაცემის დროს ერთდროულად ხდება საკუთრების გადაცემისათვის დადგენილი ორი მოთხოვნის შესრულება: ერთი მხრივ, ნივთის გადაცემითა და, მეორე მხრივ, მისი მიღებით მხარეები კონკლუდენტურად გამოხატავენ საკუთრების გადაცემისა და მიღების ნებას, შესაბამისად, დებენ სანივთო გარიგებას და იმავდროულად ასრულებენ ნივთის მფლობელობაში გადაცემის მოთხოვნას. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 186-ე მუხლის მეორე ნაწილი ნივთის გადაცემას შემდეგნაირად განმარტავს: „ნივთის გადაცემად ითვლება: შემძენისთვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.“ ეს ნორმა ნივთის გადაცემად განიხილავს გსკ-ის მიერ გათვალისწინებულ მფლობელობის გადაცემის შემთხვევებს, იგი არ საუბრობს საკუთრების გადაცემის შესახებ შეთანხმებაზე. მაგრამ, სავარაუდოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსად, ნივთის მფლობელობაში გადაცემის საკითხის გადანყვევებისას სსკ გერმანულ მიდგომას ირჩევს.

შესაბამისად, დასაშვებია ვარაუდი, რომ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების გადაცემის მომწესრიგებელ მუხლში საკუთრების გადაცემის თაობაზე შეთანხმების შესახებ მითითების არარსებობა ქართული კანონმდებლობის ხარვეზია. ამიტომ მიზანშეწონილია, სსკ-ის 186-ე მუხლი გსკ-ის 929-ე პარაგრაფის მსგავსად მოიხსენიებდეს საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ შეთანხმებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული ქართულ სამართალში საკუთრების უფლების გადაცემის სისტემის ურთიერთსაინანაღმდეგო გაგება.

4. ჩუქება, როგორც ხელშეკრულება

იმის გასარკვევად, თუ რამდენადაა ჩუქება ხელშეკრულება, საჭიროა ზოგადად ხელშეკრულების ცნებისა და მახასიათებელი ნიშნების მოკლედ განხილვა. სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა განსხვავებულად განიხილავს ზემოაღნიშნულ საკითხებს.

რა იგულისხმება ცნებებში: *“contrat”*, *“contract”*, *“Vertrag”*? „ხელშეკრულება“ (*Contrat, Vertrag, contract*) კონტინენტური ევროპისა და პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში სხვადასხვაგვარად არის გაგებული.

განსხვავება განსაკუთრებით გამოკვეთილია შემდეგი საკითხის შეფასებისას: მოიცავს თუ არა ხელშეკრულება უსასყიდლო შეთანხმებებს, როგორიცაა ჩუქება, უსასყიდლო სესხი? მაგალითად, „ინგლისში ჩუქება არ არის ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც საფრანგეთში *Donation* ხელშეკრულებაა.“⁵²

ჩუქების ხელშეკრულებად კვალიფიცირების საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა მოკლედ იქნეს განხილული სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში მოცემულ ხელშეკრულებათა ცნებები.

ფსკ-ის 1101-ე მუხლის მიხედვით, „ხელშეკრულება არის შეთანხმება, რომლის მეშვეობითაც ერთი ან რამდენიმე პირი სხვა ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე ვალდებულებას კისრულობს, გადასცეს, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე.“⁵³ ამასთან, სასამართლო პრაქტიკითა და

⁵² Sacco, Formation of Contracts, Towards a European Civil Code, Harkamp/Hesselink/Hondius/Joustra/Peron (editors), Kluwer Law International, Hague/London/Boston, 2003, 191.

⁵³ Montanier, Le Contrat, 2005, 13.

დოქტრინით განსაზღვრულია, რომ შეთანხმების ხელშეკრულებად აღიარებისათვის საჭიროა, მას ჰქონდეს სამართლებრივი მიზანი, კერძოდ, იგი მიმართული უნდა იყოს სამოქალაქო ვალდებულებათა წარმოშობისაკენ.⁵⁴ შეთანხმებაში იგულისხმება ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის წარმოშობისაკენ.⁵⁵

იტალიის სამოქალაქო კოდექსის 1321-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულება არის შეთანხმება ორ ან მეტ მხარეს შორის, რომელიც მიზნად ისახავს მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას.⁵⁶

რაც შეეხება გსკ-ს, იგი არ შეიცავს ტერმინს – „ხელშეკრულება“ – ზუსტ განმარტებას. ხელშეკრულების დადების მარეგულირებელ ნორმათა ნაწილი მოთავსებულია პირველი ნიგნის მესამე ნაწილში, რომელიც ატარებს სახელწოდებას – „გარიგებები“ და, შესაბამისად, დაკავშირებულია ხელშეკრულებებთან, როგორც გარიგების ერთ-ერთ სახესთან, ხოლო ნაწილი განთავსებულია „ვალდებულებით სამართალში“, მე-2 ნიგნის მესამე ნაწილში, სადაც იგი განხილულია როგორც ვალდებულების წარმოშობის საფუძველი.⁵⁷

მოცემულ საკითხთან მიმართებით ასევე საინტერესოა უახლესი კოდიფიკაციების მიდგომა. პოლანდიის ახალი სამოქალაქო კოდექსის 6:213 მუხლის მიხედვით, „ხელშეკრულება წარმოადგენს მრავალმხრივ გარიგებას, რომლის საშუალებითაც მხარეები კისრულობენ ვალდებულებას სხვა ერთი ან რამდენიმე პირის წინაშე.“⁵⁸ ხოლო გარიგება, თავის მხრივ, იდება სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვით.⁵⁹ როგორც ვხედავთ, „მიუხედავად იურიდიული ტექნიკის განსხვავებისა, ხელშეკრულებაში კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართალში იგულისხმობენ შეთანხმებას, რომელიც მიმართულია უფლებებისა და მოვალეობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტისაკენ.“⁶⁰

საქართველო, განეკუთვნება რა კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემას, იზიარებს ზემოაღნიშნული ქვეყნების მიდგომას მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. სსკ-ის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. შესაბამისად, ხელშეკრულებაც, როგორც ორმხრივი ან მრავალმხრივი გარიგება, არის შეთანხმება, მიმართული სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

ინგლისურ სამართალში ხელშეკრულების სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს.⁶¹ ამასთან, ინგლისურმა სამართალმა ხელშეკრულების განსხვავებული კონცეფცია განავითარა, კერძოდ, ინგლისურ-ამერიკულ (ანგლოამერიკულ) სამართალში ხელშეკრულებაში იგულისხმება დაპირება (*promise*) ან რიგი დაპირებებისა, რომლებიც უზრუნველყოფილია სასარჩელო დაცვით. „ასეთი განმარტებიდან გამომდინარეობს ორი დასკვნა:

1. პირი, რომლის მიმართაც განხორციელდა დაპირება, ხდება კრედიტორი და პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში აქვს სასარჩელო დაცვის უფლება;

⁵⁴ იხ. იქვე; ასევე: Гражданское и торговое право зарубежных государств (под ред. Васильева, Комарова), том I, Международные отношения (Москва), 2004, 494; *Beale/Hartkamp/Kötz/Tallon, Cases, Materials and Text on Contract Law*, 2002, 2.

⁵⁵ *Cornu, Vocabulaire Juridique Association Henri Capitant*, 8^e édition, PUF, Paris, 2007, 238.

⁵⁶ *Beale/ Hartkamp/Kötz/Tallon, Cases, Materials and Text on Contract Law*, 2002, 2.

⁵⁷ Гражданское и торговое право зарубежных государств, том I, 2004, 494.

⁵⁸ *Beale/Hartkamp/Kötz/Tallon, Cases, Materials and Text on Contract Law*, 2002, 2.

⁵⁹ Гражданское и торговое право зарубежных государств, том I, 2004, 494.

⁶⁰ იქვე, 495.

⁶¹ *Beale/Hartkamp/Kötz/Tallon (eds.), Cases, Materials and Text on Contract Law*, 2002, 3.

2. ასეთ დაპირებას აქვს სამართლებრივი ხასიათი დაპირების მიმცემი პირის მიმართ, ქმნის სამართლებრივ ვალდებულებას და აქცევს მას მოვალედ.⁶²

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის სახელმწიფოებრივ სამართალი არ არის კოდიფიცირებული და სისტემატიზებული, სახელმწიფოებრივ სამართლის ინსტიტუტების განვითარება მთლიანად სასამართლო პრაქტიკის დამსახურებაა.

American Restatement Second-ის 1-ლი პარაგრაფის მიხედვით, ხელშეკრულება არის დაპირება ან რიგი დაპირებებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში კანონით დადგენილია ანაზღაურება, ან რომლის შესრულებასაც კანონი გარკვეულ შემთხვევაში მიიჩნევს ვალდებულებად.⁶³

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, კონტინენტური ევროპის სამართალში დამკვიდრებული ყველა ზემოთ მოცემული დეფინიცია ხელშეკრულებას განიხილავს შეთანხმებად ან ორმხრივ თუ მრავალმხრივ ნების გამოვლენად. როგორც ირკვევა, კონტინენტური ევროპის სამართალი არსებით მნიშვნელობას ანიჭებს მხარეთა კონსენსუსს. შესაბამისად, ხელშეკრულების სტატუსის მოსაპოვებლად ჩუქება აუცილებლად უნდა აკმაყოფილებდეს ამ კრიტერიუმს, ე. ი., სახეზე უნდა იყოს დასაჩუქრებული პირის აქცეპტი და შეთანხმება, რომელიც დაექვემდებარება ხელშეკრულების ნამდვილობის შესახებ წესებით მონესრიგებას.

სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში ხელშეკრულებისათვის დადგენილ მოთხოვნებს შორის ყურადღებას იმსახურებს ფრანგულ სამართალში დამკვიდრებული დოქტრინა კაუზის შესახებ. ფსკ-ის 1108-ე მუხლი ხელშეკრულების ნამდვილობისათვის ოთხ არსებით პირობას ადგენს, კერძოდ, იმ მხარის თანხმობას, რომელიც იბოჭება (კისრულობს ვალდებულებას); გარიგებაუნარიანობას; განსაზღვრულ საგანს, რომელიც ქმნის ხელშეკრულების შინაარსს; კანონიერ საფუძველს ვალდებულებისათვის (ვალდებულების კანონიერი საფუძველი) – კაუზა. ეს უკანასკნელი ფრანგული სამართლისათვის დამახასიათებელი თავისებურებაა.

მას შემდეგ, რაც შუა საუკუნეების კანონიკური სამართლის იურისტებმა უარი თქვეს პრინციპზე – *ex nudo pactu nulla obligatio oritur*, დადგა საკითხი – ვალდებულების სერიოზულობისა და კანონიერების უზრუნველსაყოფად საკმარისი იყო თუ არა მხოლოდ პირობა.⁶⁴ ამ მიზნით დამკვიდრდა ფორმის მოთხოვნა, მაგრამ ვალდებულების სერიოზულობის უზრუნველსაყოფად ასევე გამოყენებულ იქნა „კაუზის“ დოქტრინა, რომელიც მოქმედებს რომანული სამართლის ზოგიერთ ქვეყანაში. ინგლისური სამართალი სხვა, კერძოდ, საპასუხო შესრულების, ე.წ. *consideration*-ის დოქტრინის, გზით წავიდა.⁶⁵

ზოგადად, კაუზად მიიჩნევა საფუძველი, რის გამოც ხდება ხელშეკრულების დადება. კითხვას, თუ რისთვის ხდება ხელშეკრულების დადება, ორი შესაძლებელი პასუხი აქვს: ერთი – ზოგადი, რომელიც საერთოა ყველა ხელშეკრულებისათვის – ეს არის ვალდებულების კაუზა (*La cause de l'obligation*). მაგალითად, მყიდველის მიერ ფასის გადახდა ხორციელდება საპასუხო შესრულების მიღების მიზნით. აღნიშნულს უწოდებენ „უახლოეს“ საფუძველს (*causa proxima*), „უახლოეს“ მიზანს.⁶⁶

მეორე შესაძლებელი საფუძველი ცვალებადი, კონკრეტული და არასამართლებრივია – მას ხელშეკრულების კაუზას უწოდებენ (*La cause du contrat*). მაგალითად, პირის მიერ ქირავნობის ხელშეკრულების დადების საფუძველი შეიძლება იყოს მშობლებთან ახლოს

⁶² Гражданское и торговое право зарубежных государств, том I, 2004, 495.

⁶³ Beale/Hartkamp/Kötz/Tallon, Cases, Materials and Text on Contract Law, 2002, 3.

⁶⁴ იქვე, 127.

⁶⁵ იქვე.

⁶⁶ Montanier, Le contrat, 2005, 99-110.

ცხოვრების სურვილი. აღნიშნული საფრანგეთში იწოდება მოტივად, „შორეულ საფუძვლად“ (*causa remota*).⁶⁷ პირველი – *causa proxima* იწოდება ობიექტურ, მეორე – *causa remota* კი სუბიექტურ კაუზად.⁶⁸

დოქტრინას კაუზის შესახებ ფრანგულ სამართალში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მიუხედავად სერიოზული კრიტიკისა და აზრთა სხვადასხვაობისა⁶⁹, კაუზას ხელშეკრულების დადებისა და ნამდვილობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. გარდა იმისა, რომ, ფსკ-ის 1108-ე მუხლის თანახმად, იგი ხელშეკრულების ნამდვილობის ერთ-ერთი პირობაა, ფსკ-ში გათვალისწინებულია ნორმები, რომლებიც შეეხებიან ცალკეულ შემთხვევაში ხელშეკრულების ბათილობას, კაუზის არარსებობის, უკანონობისა თუ მასთან დაკავშირებული სხვა ხარვეზის გამო.⁷⁰

კლასიკური თეორიის თანახმად, ორმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებებში ერთი მხარის ვალდებულების კაუზა არის მეორე მხარის ვალდებულება. შესაბამისად, მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებაში ა-ს აქვს თანხის გადახდის ვალდებულება, რადგან ბ-ს აქვს ნივთის გადაცემის ვალდებულება და, პირიქით.⁷¹ ამგვარად, ორმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებაში საპასუხო შესრულება, უფრო ზუსტად კი, მოსალოდნელი საპასუხო შესრულება, წარმოადგენს ვალდებულების კაუზას. აქედან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ კაუზა არ არსებობს (და, შესაბამისად, ხელშეკრულება ბათილია), თუკი მოსალოდნელი საპასუხო შესრულება არ არსებობს. „კანონმდებელი ზოგჯერ საკმაოდ ნათლად აცხადებს, რომ, თუკი ერთი მხარის ვალდებულებას არ გააჩნია ობიექტი, მეორე მხარის ვალდებულება სახეზე არ არის კაუზის არარსებობის გამო.“⁷² სუბიექტური კაუზა განმსაზღვრელია ისეთ შემთხვევაში, როცა მოტივი არსებითია.⁷³

რაც შეეხება უსასყიდლო ხელშეკრულებებს, მათი ობიექტური კაუზა სხვისთვის საკუთრების უსასყიდლოდ, საპასუხოს მოთხოვნის გარეშე, გადაცემის სურვილია,⁷⁴ თუმცა მხოლოდ ობიექტური მიდგომა დაიყვანება მტკიცებამდე, რომ ჩუქება არ განხორციელდებოდა ჩუქების განზრახვის გარეშე. ამიტომ ჩუქებასთან მიმართებით ხშირად სუბიექტური კაუზა ანუ მოტივი განმსაზღვრელ მნიშვნელობას იძენს. სუბიექტური მიდგომის მიხედვით, ჩუქების საფუძველი არ არსებობს, თუკი არ არსებობს ჩუქების მიზეზი. მაგალითად, თუ ერთი პირი გადასცემს ქონებას საჩუქრად მეორეს, რადგან ჰგონია, ამ უკანასკნელმა გადაარჩინა და რეალურად ეს ასე არ არის, ითვლება, რომ ჩუქებას არ გააჩნია საფუძველი.⁷⁵ მოტივი განმსაზღვრელია, რადგან მას არსებითი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებისათვის, მის გარეშე ხელშეკრულება არ დაიდებოდა.

რაც შეეხება რეალურ ხელშეკრულებებს, მაგალითად, სესხის ხელშეკრულებაში თანხის დაბრუნების კაუზა არის მისი გადაცემა, შესაბამისად, თანხის გადაცემამდე ხელშეკრულება არ იდება, რადგან სახეზე არ არის კაუზა. თავისთავად ცხადია, რომ რესტიტუციის ვალდებულება არ არსებობს, თუკი თანხის გადაცემა არ განხორციელდა. ვისაც არაფერი მიუღია, დაბრუნების ვალდებულება არ გააჩნია.⁷⁶

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ *Beale/Hartkamp/Kötz/Tallon, Cases, Materials and Text on Contract Law, 2002, 129.*

⁶⁹ იგულისხმება აზრთა სხვადასხვაობა კაუზალისტებსა და ანტიკაუზალისტებს შორის.

⁷⁰ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1131-ე-1133-ე მუხლები.

⁷¹ *Montanier, Le contrat, 2005, 100.*

⁷² იქვე, 101.

⁷³ იქვე.

⁷⁴ *Beale/Hartkamp/Kötz/Tallon, Cases, Materials and Text on Contract Law, 2002, 129.*

⁷⁵ *Montanier, Le contrat, 2005, 103.*

⁷⁶ იქვე.

აღსანიშნავია, რომ გერმანული სამართალი, რომელიც იცნობს კაუზალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას, აღიარებს ჩუქების ხელშეკრულების კაუზალურობას და მიიჩნევს, რომ ჩუქების ხელშეკრულებაში კაუზა არის მხარეთა შეთანხმება ერთი პირის მიერ მეორის გამდიდრების, სხვაგვარად რომ ითქვას, ქონების უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.⁷⁷

როგორც წესი, ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობისთვის მოითხოვება კანონით დადგენილი ფორმის დაცვა. მაგალითად, ფრანგულ სამართალში ჩუქების ხელშეკრულება განიხილება კონსენსუალურობის პრინციპის შეზღუდვად და მისი ნამდვილობისათვის კანონით სავალდებულო სანოტარო ფორმა დადგენილი. სავალდებულო სანოტარო ფორმის მოთხოვნა მოცემულია *code civil*-ის 931-ე მუხლში.

უნდა აღინიშნოს, რომ „ფრანგულ სამართალში მოქმედი ფორმალური მოთხოვნები გარკვეული ხარისხით შესუსტდა.⁷⁸ ფორმალური კრიტერიუმების შესუსტებაში იგულისხმება ის, რომ ფრანგული სამართალი აღიარებს „ხელიდან ხელში გადაცემული“⁷⁹ ჩუქების ნამდვილობას, რაც საფრანგეთში *don manuel*-ად, ხოლო გერმანულ სამართალში *Handschenkung*-ად არის მოხსენიებული.⁸⁰ ფრანგული სამართალი ასევე აღიარებს არაპირდაპირ ჩუქებას, ანუ „გადაცემის აქტს“, რომელიც ხორციელდება ე.წ. „შუალედური“ გარიგებით, როგორცაა: ვალის პატიება, მოთხოვნაზე უარის თქმა და მეტიც, შენიღბული ჩუქება, ამ უკანასკნელში იგულისხმება გარიგება, რომელშიც უნდა არსებობდეს შემხვედრი დაკმაყოფილება, მაგალითად, ნასყიდობა, მაგრამ არსებობს შეთანხმება, რომ ფასის გადახდა არ მოითხოვება.⁸¹

ამრიგად, ჩუქების ხელშეკრულება ფრანგული და გერმანული სამართლის მიხედვით აკმაყოფილებს კანონმდებლობით ხელშეკრულებისთვის დადგენილ მოთხოვნებს. ჩუქების ხელშეკრულებაში ნივთის უსასყიდლოდ გადაცემის სურვილის კაუზად აღიარება იწვევს ჩუქების ხელშეკრულებად აღიარებას, განსხვავებით ინგლისური სამართლისაგან, რომელიც ჩუქებას არ მიიჩნევს ხელშეკრულებად სწორედ საპასუხო შესრულების (*consideration*-ის) არარსებობის მიზეზით.

5. ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების ანალიზის აუცილებლობა განპირობებულია მისი თავისებურებებით, რომლებიც მას აშკარად გამოარჩევს სამოქალაქო კოდექსის კერძო ნაწილში მოცემული სხვა ხელშეკრულებებისაგან. ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განხილვისას ყურადღება უნდა გამახვილდეს რამდენიმე კრიტერიუმზე, რომელთა შესახებ ქვემოთ იქნება საუბარი.

5.1 უსასყიდლო ბუნება

ჩუქების ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია. „იურიდიული თვალსაზრისით, უსასყიდლობა იმაში ვლინდება, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული ეკვივალენტობის მატარებელი.“⁸² ჩუქების უსასყიდლობა იმ ფაქტით

⁷⁷ *Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract, 2006, 148.*

⁷⁸ *Beale/Hartkamp/Kötz/Tallon, Cases, Materials and Text on Contract Law, 2002, 4.*

⁷⁹ ნივთის გადაცემის გზით დადებული ჩუქების ხელშეკრულება შემდგომში მოხსენიებული იქნება „გადაცემით ჩუქებად“, ხოლო ჩუქების ხელშეკრულება, რომელიც იდება შეთანხმებით, ნივთის უშუალო გადაცემის გარეშე, – „შეთანხმებით ჩუქებად“.

⁸⁰ *Beale/Hartkamp/Kötz/Tallon, Cases, Materials and Text on Contract Law, 2002, 4.*

⁸¹ იქვე.

⁸² *ძლიერიშვილი, ჩუქების სამართლებრივი ბუნება, თბილისი, 2004, 23; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, სამართალი, თბილისი, 2001, 65.*

გამოიხატება, რომ მჩუქებელს უფლება არ აქვს, მოითხოვოს დასაჩუქრებულისგან შემხვედრი დაკმაყოფილება.⁸³ ჩუქების საფუძველზე ხდება დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა და, შესაბამისად, მჩუქებლის ქონების შემცირება, საპასუხო შესრულების მოთხოვნის გარეშე. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთი მხარის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება შესაძლებელია მოხდეს რომელიმე სხვა ხელშეკრულების – მაგალითად, ნასყიდობის ან გაცვლის – დადების დროს, როდესაც მხარეთა საპასუხო შესრულება ეკვივალენტურად აშკარად არ შეესაბამება ერთმანეთს, თუმცა ამ შემთხვევაში ჩუქება სახეზე არ არის, რადგან ერთ-ერთი მხარისათვის ქონებრივი უპირატესობის მოპოვება ხელშეკრულების ძირითადი მიზანი არ არის, იგი „შემთხვევითი ელემენტია“.⁸⁴

ჩუქების ხელშეკრულება, მიუხედავად მისი უსასყიდლო ხასიათისა, როგორც აღინიშნა, გერმანულ სამართალში, ინგლისური სამართლისაგან განსხვავებით, მიჩნეულია კაუზალურ ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებად, რომელსაც აქვს მისი დადების საფუძველი – კაუზა.⁸⁵ კაუზა არის შეთანხმება გადაცემის უსასყიდლო ხასიათზე.

ფრანგულ სამართალში ხელშეკრულებად მიჩნეული ჩუქება განიხილება უსასყიდლო ხელშეკრულებათა კატეგორიაში, რომელიც ათვალისწინებულია ფსკ-ის 1105-ე მუხლით. ამასთან, იგი ამ სახის ხელშეკრულებათა ნიმუშია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩუქების ხელშეკრულების უსასყიდლო ბუნება აღიარებულია როგორც ფრანგული, ისე გერმანული და ქართული სამართლის მიერ. ინგლისურ სამართალში კი სწორედ ჩუქების უსასყიდლო ხასიათი გამორიცხავს მის ხელშეკრულებად კვალიფიცირებას.

5.2 ცალმხრივად მავალდებულებელი ბუნება

ხელშეკრულებათა ცალმხრივად და ორმხრივად კლასიფიცირება ხდება იმის მიხედვით, ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულება ეკისრება ორივე მხარეს, თუ იგი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს წარმოემოხა. პირველ შემთხვევაში სახეზეა ორმხრივი – ორმხრივად მავალდებულებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში, როდესაც მხოლოდ ერთი მხარე კისრულობს განსაზღვრული მოქმედების შესრულებას – ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება.⁸⁶ ინტერესს იწვევს ჩუქების ხელშეკრულების ზემოთ მოცემული კატეგორიებიდან ერთ-ერთისათვის მიკუთვნების საკითხი.

ერთი შეხედვით, ჩუქება უნდა განეკუთვნებოდეს ცალმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებათა კატეგორიას, თუმცა რეალურად რამდენადაა იგი ასეთი, ქვემოთ იქნება განხილული.

ფრანგული სამართალი იცნობს ხელშეკრულებათა ცალმხრივად და ორმხრივად დაყოფას, თუმცა მათ განხილვამდე მიზანშეწონილია გაანალიზდეს ფსკ-ის 1101-ე მუხლი, რომლის თანახმად, ხელშეკრულების მეშვეობით ერთი პირი კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე. ამ მუხლზე დაყრდნობით, ფრანგული სამართალი ვალდებულებებს მათი ობიექტის მიხედვით ყოფს შემდეგ სახეებად: გადაცემის, შესრულების ან შესრულებისაგან თავის შეკავების. შესაბამისად, შესაძლებელია განსხვავება ხელშეკრულებებისა, რომლებიც წარმოშობენ 1. გადაცემის, 2. შესრულების, 3. შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულებებს.

⁸³ იქვე.

⁸⁴ იქვე.

⁸⁵ *Markesinis/Unberath/Johnston, The German Law of Contract, 2006, 29.*

⁸⁶ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, 227.

გადაცემის ვალდებულება – ეს არის ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულება (ფსკ-ის 1136-ე მუხლი).⁸⁷ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩუქება შეიძლება მიჩნეულ იქნეს გადაცემის ვალდებულების წარმოშობ ხელშეკრულებად, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ საკუთრების გადაცემა უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების, მაგალითად ნასყიდობის ხელშეკრულების, შედეგად და არა გამყიდველზე დაკისრებულ ვალდებულებად.⁸⁸

ფრანგულ სამართალში დამკვიდრებული კონსენსუალობის პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს საკუთრების უფლების გადაცემას ხელშეკრულების დადების მომენტიდან, შეუძლებელია ზღვრის გავლება ვალდებულების წარმოშობასა და შესრულებას შორის, რადგან ხელშეკრულების დადება, რომელიც გადაცემის ვალდებულებას უნდა წარმოშობდეს და ამ ვალდებულების შესრულება, ფაქტობრივად, ერთმანეთს ემთხვევა. გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც საკუთრების უფლების გადასვლა ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე არ ხდება – ხელშეკრულება შეიცავს პირობას, რომ საკუთრების უფლება მოგვიანებით გადავა, მაგალითად, ნოტარიუსის თანდასწრებით ხელმოწერის შემდეგ.⁸⁹ ამ დროს შესაძლებელია, საუბარი იყოს საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულების წარმოშობაზე.

როგორც შეთანხმებით ჩუქების ხელშეკრულება, ისე *don manuel* დადებულად არ ითვლება, ერთი მხრივ, სათანადო ფორმის დაცვის, მეორე შემთხვევაში კი, ნივთის გადაცემის გარეშე. ხოლო, თუკი ხელშეკრულება არ დადებულა, არც გადაცემის ვალდებულება წარმოშობილა. შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, ფსკ-ის დებულება, რომ ხელშეკრულებით მხარე კისრულობს გადაცემის ვალდებულებას, ფრანგულ სამართალში მოქმედი „წმინდა ხელშეკრულების“ პრინციპიდან გამომდინარე, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში იძენს მართებულობას. ამ საკითხთან მიმართებით აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ფრანგული სამართალი იცნობს ხელშეკრულებათა ცალმხრივად და ორმხრივად დაყოფას, მაგრამ ჩუქება არცერთ კატეგორიაში არ არის გათვალისწინებული, რასაც, ცხადია, უნდა ჰქონდეს საფუძველი.

გამიჯვნის პრინციპის გამორიცხვის პირობებში ჩუქების ხელშეკრულების ცალმხრივად მავალდებულებელ ბუნებაზე მსჯელობა დაუსაბუთებელია, რადგან, თუკი ხელშეკრულების დადებით თავისთავად ხდება საკუთრების უფლების გადაცემა, არცერთი მხარის ვალდებულება სახეზე არ არის. მჩუქებელი ვალდებული არ არის, დადოს ჩუქების ხელშეკრულება, შესაბამისად, არც მეორე მხარეს აქვს ნივთის გადაცემის მოთხოვნის უფლება, ხოლო მჩუქებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ხელშეკრულების დადებით იგი ავტომატურად გადასცემს საკუთრების უფლებას დასაჩუქრებულს, ისე, რომ ამ უკანასკნელს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არანაირი მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა. მართალია, მას შეუძლია მოსთხოვოს მჩუქებელს ნივთის გადაცემა, თუკი შეთანხმებით ჩუქების დროს ნივთის გადაცემა არ მომხდარა, მაგრამ მისი ეს მოთხოვნის უფლება არის მესაკუთრის, და არა ჩუქების, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სახელშეკრულებო მოთხოვნის უფლება. თავისთავად იბადება კითხვა, სად ჩანს ჩუქების ხელშეკრულებაში მავალდებულებელი, თუნდაც ცალმხრივი, ბუნება, თუკი არცერთ მხარეს არ ეკისრება ვალდებულება? ან შეიძლება თუ არა, ხელშეკრულება იყოს ცალმხრივი, მხოლოდ იმ გაგებით, რომ ორივე მხარეს მხოლოდ უფლებები ჰქონდეს ისე, რომ არანაირი ვალდებულება არ ეკისრებოდეს? ამ თვალსაზრი-

⁸⁷ *Montanier, Le contrat*, 2005, 11.

⁸⁸ იქვე.

⁸⁹ იქვე.

სითაც კი, ჩუქების ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს ცალმხრივი ხელშეკრულების კრიტერიუმებს, რადგან არცერთ მხარეს მოთხოვნის უფლება არ გააჩნია. პირს არ შეუძლია, მოითხოვოს სხვა პირისაგან ნივთის ჩუქება. ამასთან, მართალია, მესაკუთრეს უფლება აქვს, გააჩუქოს თავისი კუთვნილი ნივთი, მაგრამ ეს უფლება გამომდინარეობს მესაკუთრის უფლებამოსილებიდან, თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება, და არა ჩუქების ხელშეკრულებიდან. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ერთიანობის პრინციპის არსებობის შემთხვევაში ჩუქების ხელშეკრულებაში ვალდებულების გამოკვეთა და, შესაბამისად, მისი ცალმხრივად ან ორმხრივად კვალიფიცირება პრაქტიკულად შეუძლებელია. საგარაუდოდ, ამით არის განპირობებული ფრანგულ სამართალში ჩუქების ხელშეკრულების შესაბამისი კლასიფიკაციის გარეთ დარჩენა. კერძოდ, იგულისხმება ის, რომ საფრანგეთში ხელშეკრულებათა ცალმხრივად და ორმხრივად კლასიფიკაციისას ჩუქება არ განიხილება არცერთ კატეგორიაში. ფრანგულ სამართალში ცალმხრივად მავალდებულებელ ხელშეკრულებებზე კვალიფიცირდება ხელშეკრულებები, რომლებშიც აშკარად გამოკვეთილია ერთ-ერთი მხარის ვალდებულება. ასეთია, მაგალითად: სესხი, დეპოზიტი და ა.შ., სადაც ერთ-ერთ მხარეს, კერძოდ მსესხებელსა და დეპოზიტარს, ეკისრება მხოლოდ თანხის უკან დაბრუნების ვალდებულება (უსასყიდლო სესხისა და დეპოზიტის ხელშეკრულების შემთხვევაში), ან დამატებით გარკვეული პროცენტის გადახდა (სასყიდლიანი ხელშეკრულების შემთხვევაში). ამასთან, ფრანგულ სამართალში მითითებულია, რომ ამ სახის ხელშეკრულებებში ერთ-ერთი მხარის ვალდებულება, როგორც წესი, ხელშეკრულების საგნის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, მანამდე ვალდებულება არ არსებობს, რადგან მეორე მხარეს არც გადაცემამდე და არც მას შემდეგ არანაირი ვალდებულება არ ეკისრება. მაგალითად, გამსესხებელი ვალდებული არ არის, დადოს სესხის ხელშეკრულება, მსესხებლის ვალდებულება კი მხოლოდ თანხის გადაცემის საფუძველზე წარმოიშობა.⁹⁰ ჩუქების ხელშეკრულებაში კი არც ერთ მხარეს ეკისრება ნივთის გადაცემის და არც მეორეს მისი უკან დაბრუნების ვალდებულება.

გამიჯვნის პრინციპი იძლევა ჩუქების ხელშეკრულების ცალმხრივად მავალდებულებელი ბუნების დასაბუთების შესაძლებლობას. საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულების წარმომშობი და უშუალოდ განმკარგავი ხელშეკრულებების ერთმანეთისგან გამიჯვნა გულისხმობს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებით ერთ-ერთი მხარის, კერძოდ, მჩუქებლისათვის ნივთის გადაცემის ვალდებულების, ხოლო მეორე მხარისათვის, შესაბამისად, მოთხოვნის უფლების წარმოშობას. მართალია, საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულების წარმოშობა და საკუთრების უფლების უშუალო გადაცემა, დროის მიხედვით, ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ თეორიულად მაინც შესაძლებელია, ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ვალდებულების წარმომშობი და უშუალოდ განმკარგავი ხელშეკრულებები და, შესაბამისად, იკვეთებოდეს ჩუქების ხელშეკრულების ცალმხრივად მავალდებულებელი ბუნება.

5.3 ჩუქება – რეალური თუ კონსენსუალური ხელშეკრულება?

ქართულ სამართლებრივ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჩუქების ხელშეკრულება რეალური ხასიათისაა.⁹¹ ხელშეკრულებების რეალურად და კონსენსუალურად დაყოფის კრიტერიუმია ის, თუ რა დროიდან ითვლება ხელშეკრულება დადებულიად.

⁹⁰ იქვე, 15.

⁹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ტომი I, 2001, 68.

ხელშეკრულების კლასიფიკაციას კონსენსუალურ, სავალდებულო ფორმისა და რეალურ ხელშეკრულებებად, როგორც უკვე აღინიშნა, იცნობს ფრანგული სამართალი. ამიტომ ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების ანალიზისას ინტერესს იწვევს ფრანგული სამართლის მიდგომის განხილვა.

ხელშეკრულებათა რომელ კატეგორიას განეკუთვნება ჩუქების ხელშეკრულება ფრანგულ სამართალში? ამ კითხვაზე პასუხი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რომელი სახის ჩუქებაზეა საუბარი. რა იგულისხმება ჩუქების სახეებში? ჩუქება, ზოგადად, განმარტებულია როგორც ხელშეკრულება, რომლის მეშვეობითაც ერთი მხარე – მჩუქებელი ფაქტობრივად და გამოუთხოვადად თავისუფალი ნების საფუძველზე გადასცემს თავის საკუთრებაში არსებულ ქონებას საკუთრებად სხვა პირს – დასაჩუქრებულს, რომელიც, თავის მხრივ, თანხმობას აცხადებს ამ გადაცემაზე.⁹² ფრანგული სამართალი ჩუქების ხელშეკრულებას ორ სახედ ყოფს: შეთანხმებით დადებულ და ნაჩუქარი ნივთის ხელიდან ხელში გადაცემით დადებულ ჩუქებად, ე.წ. *don manuel*-ად. პირველ მათგანს განაკუთვნებს სავალდებულო ფორმის ხელშეკრულებათა კატეგორიას, ხოლო მეორეს რეალურ ხელშეკრულებათა რიცხვს. თუმცა *don manuel*-ის რეალურ ხელშეკრულებად მიჩნევასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომელიც ქვემოთ იქნება განხილული. გადაცემით ჩუქება, როგორც წესი, საჭიროებს სანოტარო ფორმას.⁹³ *don manuel*-თან მიმართებით კი აღნიშნულია, რომ ეს არის ჩუქების სახე, რომლის მახასიათებელია დასაჩუქრებულისათვის მოძრავი ნივთის ფაქტობრივად – ხელიდან ხელში გადაცემა. ასეთ შემთხვევაში ჩუქების ხელშეკრულება თავისუფალია სანოტარო ფორმის მოთხოვნისაგან.⁹⁴

ჩუქების პირველი სახე, როგორც აღინიშნა, განეკუთვნება სავალდებულო ფორმის ხელშეკრულებებს, ე.წ. *contrats solennels*-ს, ხოლო მეორე სახის ჩუქება რეალური ხელშეკრულებების კატეგორიას. აღსანიშნავია, რომ ფრანგულ სამართალში როგორც ერთი, ისე მეორე სახის ხელშეკრულებები კონსენსუალობის შეზღუდვად განიხილება. კონსენსუალობა ხელშეკრულების დასადავად საკმარისად მიიჩნევა მარტოოდენ მხარეთა კონსენსუსს (*solo consensu*).⁹⁵ სავალდებულო ფორმისა და რეალურ ხელშეკრულებათა შემთხვევაში კი მოცემული პრინციპი ირღვევა, რადგან ხელშეკრულების დასადავად მხოლოდ მხარეთა შეთანხმება არ კმარა. ერთ შემთხვევაში საჭიროა შეთანხმებისათვის კანონით დადგენილი ფორმის დაცვა, მეორე შემთხვევაში კი ნივთის რეალური გადაცემა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, გადაცემის მოთხოვნის მიუხედავად, შეთანხმებით დადებულ სავალდებულო ფორმის ჩუქებაშიც სახეზეა ხელშეკრულების კონსენსუალური ხასიათი, მისი დადება მხარეთა კონსენსუსის საფუძველზე ხორციელდება, უბრალოდ, ამ კონსენსუსის განხორციელებისთვის ან სანოტარო ფორმაა დადგენილი, ან გადაცემა მოითხოვება.

რეალურ ჩუქებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე დოქტრინა კრიტიკულად არის განწყობილი ამ კატეგორიის ხელშეკრულებების მიმართ. კერძოდ, მიიჩნევენ, რომ *don manuel*-ის რეალურ ხელშეკრულებად კვალიფიცირება ხელოვნურია, რადგან ამ შემთხვევაშიც ხელშეკრულება კონსენსუალურია, ნივთის უშუალო გადაცემამდე საჭიროა მხარეთა ნების შეთანხმება და ამ შეთანხმების შედეგად ხდება ხელშეკრულების დადება, გადაცემა კი მხოლოდ ხელშეკრულების შესრულებაა.⁹⁶

⁹² Cornu, Vocabulaire Juridique Association Henri Capitant, 2007, 329.

⁹³ Voirin/Goubeaux, Droit Civil, Tome 1, 2005, 726.

⁹⁴ იქვე.

⁹⁵ იქვე, 343; Cornu, Vocabulaire Juridique Association Henri Capitant, 2007, 231; Montanier, Le contrat, 2005, 18.

⁹⁶ Montanier, Le contrat, 2005, 117.

ამრიგად, ფრანგული სამართალი ჩუქების ხელშეკრულებას ორ სახედ ყოფს და თითოეულ მათგანს განსხვავებულ მონესრიგებას უქვემდებარებს. როდესაც სახეზეა ფსკ-ის 932-ე მუხლით გათვალისწინებული სანოტარო ფორმით დამონმებული შეთანხმება ჩუქების შესახებ, ჩუქება განიხილება სავალდებულო ფორმის ხელშეკრულებად, ხოლო როდესაც ჩუქება ხორციელდება ნივთის უშუალო გადაცემით, იგი რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას განეკუთვნება.

რაც შეეხება გერმანულ სამართალს, იგი აღიარებს როგორც შეთანხმებით, ისე გადაცემით ჩუქებას, ე.წ. *Handschenkung*-ს. გსკ-ის 518-ე პარაგრაფის I აბზაცის მიხედვით, ჩუქების ხელშეკრულების დასადებად სანოტარო ფორმა მოითხოვება, თუმცა, იმავე პარაგრაფის II აბზაცის თანახმად, შესრულება – გადაცემა ასწორებს ხელშეკრულების ნაკლს.

როგორია ქართული სამართლის მიდგომა? მიჰყვება იგი გერმანულ ტრადიციას, თუ განსხვავებულ არჩევანს აკეთებს?

პირველ რიგში, აღნიშნავს იმსახურებს ის ფაქტი, რომ ქართული სამართალი ხელშეკრულებათა კონსენსუალურად და რეალურად დაყოფისას ემსგავსება ფრანგულ სამართალს, თუმცა მისგან განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს წარმოშობს საკუთრების უფლების გადაცემის თვალსაზრისით. ფრანგულ სამართალში როგორც კონსენსუალური, ისე რეალური ხელშეკრულების დადება საკუთრების უფლების გადაცემას იწვევს, ქართულ სამართალში კი საკუთრების უფლების გადასაცემად მხოლოდ ერთი ხელშეკრულების დადება საკმარისი არ არის. მართალია, რეალური ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი ნივთის გადაცემაში, ქართული სამართლის გაგებით, შესაძლებელია, ვალდებულებით-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან ერთად, მოაზრებულ იქნეს სანივთო ხელშეკრულებაც, მაგრამ გამიჯვნის პრინციპის პირობებში ერთიანობის პრინციპზე დამყარებულ ფრანგულ სამართალში დამკვიდრებული ცნებების გამოყენებას შეცდომების გამოწვევა შეუძლია.

შედარებითი თვალსაზრისით, ინტერესს იმსახურებს ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელი გერმანული და ქართული სამართლის ნორმები. გსკ-ის 516-ე პარაგრაფის თანახმად, გადაცემა, რომლის მეშვეობითაც ერთი პირი ამდიდრებს სხვას თავისი ქონებიდან, წარმოადგენს ჩუქებას, თუ მხარეები თანხმდებიან მის უსასყიდლო ხასიათზე. გადაცემაში კი, რომელიც ამდიდრებს მეორე პირს, იგულისხმება საკუთრების უფლების გადაცემა, რადგან ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებიდან საკუთრების გადაცემის მოთხოვნის უფლების წარმოშობა, რომელიც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა, ვერ იქნება განხილული გადაცემად.

რაც შეეხება სსკ-ს, 524-ე მუხლის მიხედვით, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას მისი თანხმობით. მოცემული მუხლი გამდიდრებასა და ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათზე შეთანხმების შესახებ არაფერს ამბობს, თუმცა ნივთის საკუთრებაში გადაცემა თავისთავად გულისხმობს დასაჩუქრებულის გამდიდრებას, ისევე, როგორც დასაჩუქრებულის თანხმობაში შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს შეთანხმება ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათზე. თუკი ერთი პირი სთავაზობს ქონების უსასყიდლოდ გადაცემას მეორეს და ეს უკანასკნელი თანხმდება მის შეთავაზებას, იგულისხმება, რომ მხარეები თანხმდებიან ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათზე.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, როგორც გერმანულ, ისე ქართულ სამართალში ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელი თავის პირველსავე მუხლებში მითითებულია, რომ ჩუქების ხელშეკრულებით ხდება საკუთრების უფლების გადაცემა და არა გადაცემის ვალდებულების წარმოშობა. მუხლების ამ სახით ჩამოყალიბება ვალდებულებითი სამართლის სახელშეკრულებო ნაწილში, სადაც მონესრიგებულია ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებები, გარკვეულწილად, ჩრდილავს ხელშეკრულების ვალდებულებითსამართლებრივ ბუნებას და

გამიჯვნის პრინციპის არსებობის პირობებში სისტემური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რადგან ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებები საკუთრების უფლების გადაცემის, შეცვლის, შეწყვეტის თუ დატვირთვის მხოლოდ ვალდებულებას წარმოშობენ, საკუთრების უფლების რეალური განკარგვა კი სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულებით ხორციელდება, რომლის დადების წესი და პირობები სანივთო სამართლის რეგულირების სფეროში შედის. სსკ-ის 524-ე მუხლი და გსკ-ის 516-ე პარაგრაფის I აბზაცი კი ჩუქების ხელშეკრულებით სწორედ საკუთრების უფლების გადაცემაზე მიუთითებენ და არა გადაცემის ვალდებულების წარმოშობაზე, მაშინ, როდესაც სსკ-ის ვალდებულებითი სამართლის ნაწილში განთავსებულ ყველა სხვა ხელშეკრულებაში ხაზი ესმევა მათ ვალდებულებითსამართლებრივ ბუნებას⁹⁷. შესაბამისად, სსკ-ის 524-ე მუხლით და გსკ-ის 516-ე პარაგრაფის I აბზაცით, ვალდებულებითი სამართლის ნაწილში შემოაქვთ საკუთრების გადაცემის წესის განმსაზღვრელი ნორმა, მაშინ, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემის წესი საერთოა ზოგადად ყველა ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებასთან მიმართებით. ცხადია, მხედველობაში მიიღება ნივთის სახე (მოძრავი და უძრავი). რა შეიძლება იყოს ამ მუხლების ასეთი სახით ფორმულირების მიზეზი?

დასაშვებია თუ არა ვარაუდი, რომ ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით არ მოქმედებს გამიჯვნის პრინციპი და ჩუქებაში ვალდებულებითსამართლებრივი და სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულებები საერთოდ არ იმიჯნება? ან რამდენად შესაძლებელია, კოდექსი ზოგადად ემყარებოდეს გამიჯვნის პრინციპს და გამორიცხავდეს მას მხოლოდ რამდენიმე ხელშეკრულებასთან მიმართებით? ცხადია, ასეთ შემთხვევაში უნდა არსებობდეს საფუძველი, რომელიც გამიჯვნის პრინციპის გამორიცხვის საჭიროებას დაასაბუთებს. შესაძლებელია, ჩუქების ხელშეკრულების ამგვარი დეფინიცია განპირობებული იყოს იმ ფაქტით, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩუქების ხელშეკრულების დადებისას შეთანხმება, რომლის შემდეგობითაც წარმოიშობა საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულება და უშუალოდ საკუთრების გადაცემა ერთდროულად ხდება, ე. ი. ჩუქების ხელშეკრულება იდება საჩუქრის ხელიდან ხელში გადაცემით. თუმცა აღნიშნული ფაქტი ჩუქებასთან მიმართებით გამიჯვნის პრინციპის გამორიცხვის არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან ყოველდღიურ ცხოვრებაში ასევე ხშირია შემთხვევა, როდესაც ნებისმიერი სხვა, მაგალითად ნასყიდობის, ხელშეკრულების დადება სწორედ ხელშეკრულების საგნის ხელიდან ხელში გადაცემის გზით ხდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ მომწესრიგებელ ნორმებში ვალდებულებითსამართლებრივი ბუნება მაინც გამოკვეთილია.

სსკ-ის 525-ე მუხლი უფრო შორს მიდის. აღნიშნული მუხლის I ნაწილში, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების დადების წესს ადგენს, მითითებულია, რომ მოძრავ ნივთებზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან. იმავე მუხლის მეორე ნაწილში მოცემულია უძრავ ნივთებზე ჩუქების ხელშეკრულების დადების წესი, რომლითაც წესრიგდება უძრავ ნივთებზე საკუთრების გადაცემა.⁹⁸ ცალსახაა, რომ სსკ-ის 525-ე მუხლის I ნაწილი გადაცემით ჩუქების ხელშეკრულების დადებას შეეხება, მაგრამ რომელი ხელშეკრულება იგულისხმება სსკ-ის აღნიშნულ ნორმაში, ვალდებულებითსამართლებრივი თუ სანივთოსამართლებრივი? ზოგადად, ვალდებულებითი სამართლის სახელშეკრულებო ნაწილში საუბარი უნდა იყოს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების დადებაზე,

⁹⁷ იხ. 50-ე სქ.

⁹⁸ აღსანიშნავია, რომ 2006 წელს სსკ-ის 525-ე მუხლი შევიდა ცვლილებები. პირველი და მეორე ნაწილით ცალ-ცალკე მოწესრიგდა მოძრავ და უძრავ ნივთებზე ჩუქების ხელშეკრულების დადების, უფრო ზუსტად კი, საკუთრების გადაცემის წესი. ამასთან, გაუქმდა ჩუქების დაპირების სანოტარო წესით დადების მოთხოვნა, რომელსაც მარტივი წერილობითი ფორმა ჩაენაცვლა.

ხოლო საკუთრების გადაცემის რეგულირებას, რომელიც სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების მეშვეობით ხორციელდება, სანივთო სამართალი უნდა ახდენდეს. ამასთან, თუკი სსკ-ის 186-ე მუხლის I ნაწილში მითითებულ ნივთის გადაცემაში ნივთის მფლობელობაში გადაცემასთან ერთად იგულისხმება სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულება, სსკ-ის 525-ე მუხლის I ნაწილი სწორედ ჩუქების სანივთოსამართლებრივ ბუნებაზე მიუთითებს, რადგან ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების დადება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ მხარეთა შეთანხმებაზე, ნივთის გადაცემისას კონკლუდენტურად იდება სანივთო ხელშეკრულება და შესაბამისად, იგი (ნივთის გადაცემა) არ შეიძლება იყოს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების დადების პირობა. ცხადია, აღნიშნული არ გამოირიცხავს, რომ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება დამოკიდებული იყოს რაიმე პირობაზე, თუნდაც ნივთის გადაცემაზე და, შესაბამისად, სახეზე იყოს პირობითი ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ვალდებულებითი ხელშეკრულება დადებულია. სსკ-ის 90-ე მუხლის მიხედვით, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა ამ მოვლენის დადგომისთანავე. აღნიშნული ნორმა მიუთითებს პირობის დადგომამდე გარიგების (რომელშიც ცალმხრივ გარიგებასთან ერთად მოიაზრება ხელშეკრულება) განხორციელების გადადებაზე, და არა დადებაზე, ან პირობის დადგომისთანავე ხელშეკრულების შეწყვეტაზე. ნორმა არ მიუთითებს, რომ შესაძლებელია არსებობდეს პირობა, რომლის დადგომასაც დაუკავშირდება ხელშეკრულების დადება. ამასთან, ხელშეკრულებაში პირობის არსებობა ლოგიკურად გულისხმობს თავად ხელშეკრულების არსებობას. ამიტომ მსჯელობა იმის შესახებ, რომ სსკ-ის 525-ე მუხლის პირველ ნაწილში საუბარია ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების დადებაზე, ვერც ამ კუთხით იქნება დასაბუთებული. გამოდის, რომ სსკ-ის 525-ე მუხლის I ნაწილი მიუთითებს სანივთო ხელშეკრულების დადებას, რაც, როგორც უკვე ითქვა, სისტემური თვალსაზრისით გაუმართლებელია. სსკ-ის ვალდებულებითი სამართლის მოცემული ნორმა იჭრება სანივთო სამართლის კომპეტენციის სფეროში, რადგან სანივთო ხელშეკრულების დადება და, ზოგადად, საკუთრების უფლების გადაცემის წესი და პირობები სანივთო სამართლით მონესრიგებას უნდა ექვემდებარებოდეს.

გადაცემით ჩუქებას გარკვეული თავისებურებები ახასიათებს, კერძოდ, მასში ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულებების დადება და ნივთის გადაცემა ერთდროულად ხდება. ამასთან, როგორც ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულებების დადება, ისე ვალდებულებითი ხელშეკრულების შესრულება, დროის მიხედვით, ერთმანეთს ემთხვევა, სავარაუდოდ, სწორედ ამ გარემოებით არის განპირობებული მისი რეალურ ხელშეკრულებად კვალიფიცირება. მართალია, ასეთი თანხვედრის გამო ამ სახის ჩუქების ხელშეკრულებაში გამიჯვნის პრინციპი ნათლად არ იკვეთება, თუმცა ეს არ ნიშნავს მის გამოირიცხვას ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით. ამ შემთხვევაშიც ერთმანეთისგან იმიჯნება საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულების წარმომშობი ვალდებულებითსამართლებრივი და მისი უშუალოდ განმკარგავი სანივთო ხელშეკრულება.

დოქტრინაში, როგორც უკვე ითქვა, აღნიშნულია, რომ ჩუქების ხელშეკრულება რეალური ხასიათისაა. ასეთ შემთხვევაში, ცხადია, იბადება კითხვა: რას წარმოადგენს სსკ-ის 525-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული „ჩუქების დაპირება“? არის იგი მხოლოდ ცალმხრივი ნების გამოვლენა თუ ხელშეკრულება, როგორც ეს ფრანგულ და გერმანულ სამართალშია? თუ მიჩნეულია ჩუქების ხელშეკრულებად, ხომ არ ეწინააღმდეგება მისი ხელშეკრულებად აღიარება სსკ-ის 524-ე და, განსაკუთრებით, 525-ე მუხლის დებულებებს? სხვაგვარად რომ ითქვას, რამდენად გამართლებულია მითითება იმის შესახებ, რომ ჩუქების

ხელშეკრულებით (რომელიც ვალდებულებითი სამართლის ნაწილია მოცემული) მჩუქებელი საკუთრებაში გადასცემს ნივთს დასაჩუქრებულს და რომ ჩუქების ხელშეკრულება დადებულია ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან, თუკი რეალურად არსებობს სხვა სახის ვალდებულებითსამართლებრივი ჩუქების ხელშეკრულება, რომელიც ნივთის უშუალო გადაცემის გარეშე შეიძლება დაიდოს და რომელიც მხოლოდ საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებას წარმოშობს და უშუალოდ არ ახდენს საკუთრების უფლების გადაცემას? ამასთან, თუკი სსკ აღიარებს ჩუქების ორივე სახეს, გაუმართლებელია ითვალისწინებდეს მხოლოდ ერთი მათგანის მოწესრიგებას, მით უმეტეს, რომ გარკვეულ შემთხვევებში, კერძოდ, დადების თვალსაზრისით, ჩუქების ხელშეკრულების ეს ორი ტიპი მნიშვნელოვან განსხვავებებს ამჟღავნებს. ხოლო თუკი ხდება ჩუქების დაპირების ხელშეკრულებად მიჩნევა, შესაბამისად, საჭიროა მისი სათანადო რეგულირება.

სსკ-ის 525-ე მუხლზე დაყრდნობით, ჩუქების ხელშეკრულების სახედ მხოლოდ გადაცემით ჩუქების აღიარება, ფაქტობრივად, გამოირიცხავს ქართულ სამართალში შეთანხმებით ჩუქების ხელშეკრულების არსებობას, მაშინ, როდესაც ფრანგულ სამართალში სწორედ ეს უკანასკნელი განიხილება ჩუქების ძირითად სახედ. მსგავსი მიდგომა გაუმართლებელია. მიზანშეწონილია, ქართულ სამართალში გამყარებული იყოს შეთანხმებით ჩუქების, უფრო ზუსტად კი, ჩუქების ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა, სანივთო გარიგების დადებისა და ნივთის გადაცემაზე მისი დამოკიდებულების გარეშე.

ქართული სამართლის მიხედვით, ბუნდოვანია ჩუქების დაპირების სამართლებრივი ბუნება. არსებობს მოსაზრება, რომ ჩუქების დაპირება წინარე ხელშეკრულებაა.⁹⁹ სსკ-ის 327-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, წინარე ხელშეკრულებაზე ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულებისთვის გათვალისწინებული ფორმა. ჩუქების ძირითადი ხელშეკრულების დადებისათვის მოითხოვება ნივთის გადაცემა, ჩუქების დაპირებას კი წერილობითი ფორმა სჭირდება. გარდა ამისა, წინარე ხელშეკრულებაც მოითხოვს მხარეთა შეთანხმებას, ოფერტისა და აქცეპტის სახით. ჩუქების დაპირებასთან მიმართებით გაურკვეველია აქცეპტისათვის დადგენილი ფორმის საკითხიც, კერძოდ, ბუნდოვანია, მოითხოვს თუ არა იგი იმავე ფორმას, რაც უშუალოდ ჩუქების დაპირებისათვის არის დადგენილი. ამასთან, წინარე ხელშეკრულება მხოლოდ ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოშობს, სსკ-ის 525-ე მუხლის III ნაწილში კი მითითებულია, რომ წერილობითი ფორმის დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩუქების დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას. ამ შემთხვევაშიც, გარკვეულწილად, ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება „ჩუქების ვალდებულებაში“, ჩუქების ხელშეკრულების დადების თუ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კერძოდ, საკუთრების უფლებისა და ნივთის გადაცემის ვალდებულება? პირველ შემთხვევაში ჩუქების დაპირება შესაძლებელია განხილულ იქნეს ფრანგულ სამართალში მოცემული ცალმხრივი პირობების მაგალითად, რომელიც სათანადო ფორმის დაცვის შემთხვევაში პირობის მიმცემი მხარისთვის ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოშობს.¹⁰⁰ თუმცა უფრო ლოგიკურია ვარაუდი, რომ კანონმდებელი 525-ე მუხლის III ნაწილის დებულებაში სწორედ საკუთრების უფლებისა და ნივთის გადაცემის ვალდებულებას მოიაზრებდა. ასეთ პირობებში კი ჩუქების დაპირება ცალსახად უნდა იქნეს განხილული ხელშეკრულებად, რადგანაც იგი სათანადო ფორმის დაცვის შემთხვევაში მხარისათვის უშუალოდ ჩუქების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების წარმოშობას ითვალისწინებს.

⁹⁹ ახელედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბილისი, 1999, 115.

¹⁰⁰ Montanier, Le contrat, 2005, 40-44.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ გამიჯვნის პრინციპის მოქმედების პირობებში სასურველია, ქართული სამართალი არა მხოლოდ აღიარებდეს ჩუქების ხელშეკრულების ვალდებულებითსამართლებრივ ბუნებას, არამედ ახდენდეს მის ხაზგმას კოდექსის ნორმათა შესაბამისად ფორმულირებით, კერძოდ, სასურველია სსკ-ის 524-ე მუხლის შემდეგნიად ჩამოყალიბება: „ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი კისრულობს ვალდებულებას, საკუთრებაში გადასცეს ნივთი დასაჩუქრებულს მისი თანხმობით.“

6. ჩუქების ხელშეკრულების დადება

ხელშეკრულების დადება და შესაბამისი სამართლებრივი შედეგების წარმოშობა მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის გზით ხორციელდება. „თითოეული ადამიანი თავისი „სამართლებრივი სივრცის“ გამგებელია და მისი თანხმობის გარეშე არავის აქვს ამ სივრცეში შეღწევის უფლება.“¹⁰¹ სწორედ ამიტომ მხარეთა კონსენსუსს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. კონსენსუსის მიღწევისა და, შესაბამისად, ხელშეკრულების დადების ძირითადი საშუალება, როგორც წესი, ოფერტი და აქცეპტია.

ჩუქება, ვინაიდან მიჩნეულია ხელშეკრულებად, უნდა აკმაყოფილებდეს ხელშეკრულებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, აქედან გამომდინარე, ჩუქების შემთხვევაშიც მხარეთა მიერ გამოზნული სამართლებრივი შედეგების გამოსანვევად სახეზე უნდა იყოს მხარეთა კონსენსუსი. ქვემოთ განხილული იქნება ჩუქების ხელშეკრულების დადების წესი და თავისებურებები.

6.1 ხელშეკრულების დადება შეთანხმებით ჩუქების შემთხვევაში

ფრანგული სამართალი, როგორც ითქვა, განასხვავებს ჩუქებას, რომელიც იდება შეთანხმების გზით ხელშეკრულებისთვის დადგენილი ფორმის დაცვით და გადაცემით ჩუქებას, ე.წ. *don manuel*-ს. თითოეული მათგანისათვის ხელშეკრულების დადების განსხვავებული რეჟიმი მოქმედებს. გერმანული სამართალიც იცნობს ჩუქების ხელშეკრულებას, რომლის ნამდვილობისათვის საჭიროა სანოტარო ფორმის დაცვა (518-ე პარაგრაფი) და გადაცემით ჩუქებას, ე.წ. *Handschenkung*-ს (516-ე პარაგრაფი), რომელიც ფორმის დაცვის გარეშეც ნამდვილია.¹⁰² ამ ქვეთავის ფარგლებში საუბარი იქნება შეთანხმებით ჩუქების ხელშეკრულების დადების წესისა და დამახასიათებელი თავისებურებების შესახებ. ფსკ-ის 931-ე მუხლის თანახმად, *inter vivos*¹⁰³ ჩუქების ხელშეკრულება უნდა დაიდოს სანოტარო ფორმით (ნოტარიუსის წინაშე), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ბათილია. ასეთი მოთხოვნის გამო შეთანხმებით ჩუქების ხელშეკრულება განეკუთვნება ე.წ. სავალდებულო ფორმის ხელშეკრულებათა რიცხვს. სანოტარო ფორმის მოთხოვნის მიზანია დამსაჩუქრებლის დაცვა კანონსწინააღმდეგო იძულებისაგან და ჩუქების გამოუთხოვადობის გარანტირება.¹⁰⁴

ფსკ-ის მიხედვით, ჩუქება ვინაიდან ხელშეკრულებაა, აუცილებლად მოითხოვს დასაჩუქრებულის აქცეპტს. ფრანგული სამართალი სანოტარო ფორმის მოთხოვნას უყენებს როგორც ოფერტს, ისე აქცეპტს. ამასთან, აქცეპტი არ გულისხმობს მხოლოდ ოფერენტის მიერ ნების გამოვლენის პროცესის დასწრებას და თუნდაც უბრალო ხელმოწერას,

¹⁰¹ Sacco, *Formation of Contracts*, 2003, 195.

¹⁰² *Markesinis/Unberath/Johnston*, *The German Law of Contract*, 2006, 148.

¹⁰³ ცოცხლებს შორის.

¹⁰⁴ *Voirin/Goubeaux*, *Droit Civil*, Tome 2, 24^e édition, L. G. D. J., Paris, 2006, 319.

აქცეპტისთვისაც იგივე ფორმაა დადგენილი, რაც ოფერტს მოეთხოვება.¹⁰⁵ ფრანგული სამართლის მიხედვით, ასევე საჭიროა აქცეპტის მჩუქებლისათვის შეტყობინება.¹⁰⁶ აქცეპტისათვის წაყენებული მკაცრი მოთხოვნები, სავარაუდოდ, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ საფრანგეთში ჩუქების ხელშეკრულებით დასაჩუქრებულზე გადადის საკუთრების უფლება.¹⁰⁷

რაც შეეხება ქართულ და გერმანულ სამართალს, ფორმულირების თვალსაზრისით გარკვეული განსხვავების მიუხედავად, გსკ-ის 516-ე პარაგრაფის I აბზაცი და სსკ-ის 524-ე მუხლი მსგავსებას ავლენს ერთმანეთთან. კერძოდ, ორივე მათგანი ჩუქების ხელშეკრულების დასადავად მოითხოვს დასაჩუქრებულის თანხმობას.

სსკ-ის 524-ე მუხლის თანახმად, ნაჩუქარი ქონების დასაჩუქრებულის საკუთრებაში გადასვლა, შესაბამისად, ქართული სამართლის გაგებით ჩუქების ხელშეკრულების დადება, ხდება დასაჩუქრებულის თანხმობით. გსკ-ის 516-ე პარაგრაფის I აბზაცი კი ჩუქების ხელშეკრულების დასადავად მოითხოვს მხარეთა შეთანხმებას ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათზე, რაშიც თავისთავად მოიაზრება დასაჩუქრებული მხარის თანხმობა ჩუქების ხელშეკრულების დადების შესახებ. საინტერესო დებულებას შეიცავს აღნიშნული პარაგრაფის II აბზაცი, რომლის მიხედვით, თუკი გადაცემა განხორციელდა მეორე მხარის თანხმობის გარეშე, გადაცემის განმახორციელებელ მხარეს უფლება აქვს, აქცეპტისათვის განსაზღვროს ვადა. ვადის გასვლის შემდეგ ჩუქება აქცეპტირებულად ჩაითვლება, თუკი მეორე მხარე არ უარყოფს მას. გსკ-ის მოცემული ნორმა პრაქტიკული მნიშვნელობისაა იმ შემთხვევებში, როდესაც ნივთი იმყოფება დასაჩუქრებულის მფლობელობაში (გადაცემული შეიძლება იყოს სხვადასხვა საფუძვლით), ამის შემდეგ ხდება ჩუქების შეთავაზება და მეორე მხარის მიერ დადგენილ ვადაში პასუხის გაუცემლობის შემთხვევაში, ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება. შესაძლებელია თუ არა ვარაუდი, რომ ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დადება ხდება მეორე მხარის აქცეპტის გარეშე, მაშინ, როდესაც იმავე 516-ე პარაგრაფის I აბზაცი ჩუქების ხელშეკრულების დასადავად მოითხოვს დასაჩუქრებული მხარის თანხმობას? მეორე მხარე დუმს, თუმცა დუმის შედეგად ხელშეკრულება იდება. აღიარებული მოსაზრების მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში აქცეპტი სახეზეა, მაგრამ მისი შეტყობინება არ არის საჭირო. გერმანულ სამართალში აქცეპტის შეტყობინების გარეშე ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას იძლევა 151-ე პარაგრაფი, სადაც აღნიშნულია, რომ ხელშეკრულების დადება ხდება ოფერტის აქცეპტირების გზით. წინადადების მიმცემისთვის (ოფერენტისთვის) აქცეპტის შეტყობინება საჭირო არ არის, თუკი მისი მოლოდინი არ არსებობს დამკვიდრებული პრაქტიკის შედეგად. გერმანიის სასამართლოები კი მიიჩნევენ, რომ, როდესაც პირობა არ არის დამოკიდებული შემხვედრ პირობაზე, აქცეპტის განცხადების მოლოდინი არ არსებობს.¹⁰⁸

ქართულ სამართალში ანალოგიური ნორმა არ მოიძებნება არც ჩუქებისა და არც, ზოგადად, ხელშეკრულების დადების მომწესრიგებელ ნორმათა შორის, შესაბამისად, შეუძლებელია დუმის აქცეპტად მიჩნევა. გამონაკლისია მენარმეთა შორის ურთიერთობა.

¹⁰⁵ იქვე, 320.

¹⁰⁶ იქვე, 319-320.

¹⁰⁷ Sacco, Formation of Contracts, 2003, 196.

¹⁰⁸ RG 19 April 1907, K. VII, 348/06; RG 10 November 1910, K. IV, 652/09, JW 1911, n. 2, 87; RG 12 December 1924, Seuff. A. 79, n. 89; in addition to BAG 3 August 1961, DB 1961, 1262, მითითებულია: Sacco, Formation of Contracts, 2003, 194.

რაც შეეხება ხელშეკრულების ფორმას, გსკ-ის 518-ე პარაგრაფის მიხედვით, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის, რომლითაც ხდება ჩუქების დაპირება, საჭიროა დაპირების სანოტარო ფორმით გაფორმება. თუმცა გსკ-ის 516-ე პარაგრაფიდან გამომდინარე, ჩუქების ხელშეკრულების დადებისათვის ამ შემთხვევაშიც მოითხოვება აქცეპტი. გერმანულ სამართალში, ფრანგულისაგან განსხვავებით, სანოტარო ფორმა მოეთხოვება არა მთლიანად შეთანხმებით დადებულ ჩუქების ხელშეკრულებას, არამედ მხოლოდ ჩუქების დაპირებას, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ოფერტად. გერმანულ სამართალში დამკვიდრებული მიდგომა თავისებურებით ხასიათდება, რადგან ამ შემთხვევაში შესაძლებელია ითქვას, რომ სახეზეა არა ფორმასავალდებულო ხელშეკრულება, არამედ ფორმასავალდებულო ნების გამოვლენა. თუმცა გსკ-ის 518-ე პარაგრაფში მოხსენიებულია სწორედ ტერმინი ხელშეკრულება (*Vertrag*). ასევე გარკვეულწილად უცნაურია, როდესაც გერმანული სამართალი სანოტარო წესით გაფორმებული ოფერტისთვის იმავე ფორმით აქცეპტირებას არათუ არ ითხოვს, საერთოდ უარს ამბობს აქცეპტის შეტყობინებაზე. აღნიშნული, ცხადია, დასაჩუქრებულის ინტერესების დაცვის მიზნით არის განპირობებული, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, პირობები, რომლებიც მხოლოდ მათი ადრესატების სასარგებლოდ ხორციელდება, არ საჭიროებს აქცეპტის შეტყობინებას.

უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: ჩუქების დაპირების ხელშეკრულებად განხილვის შემთხვევაში, ვინაიდან მხარეს წარმოეშობა ვალდებულება, გადასცეს მეორე მხარეს საკუთრების უფლება, ხოლო მეორეს, შესაბამისად, მოთხოვნის უფლება, პირობის მიმცემი მხარე მოვალეა, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება. თუკი ასეთ პირობებში მოთხოვნის უფლების მქონე მხარე განაცხადებს უარს სანივთო გარიგების დადებაზე, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეწყვეტა უნდა მოხდეს ვალის პატიების ნორმების გამოყენებით, რადგან პირობის ადრესატს არ შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლების განუსაზღვრელი ვადით შენარჩუნების უფლება, ვინაიდან დაუშვებელია, პირობის მიმცემი გამუდმებით იმყოფებოდეს სამართლებრივად გაურკვეველ მდგომარეობაში.

6.2 ხელშეკრულების დადება გადაცემით ჩუქების შემთხვევაში

გადაცემით ჩუქების ხელშეკრულების დადებისათვის, როგორც წესი, შეთანხმებით ჩუქებისაგან განსხვავებული პირობებია დადგენილი.

სსკ-ის 525-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ქონების გადაცემის მომენტიდან. სსკ-ის 525-ე მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადების ერთადერთი გზა არის ნივთის გადაცემა, და, რომ, შესაბამისად, ქართული კოდექსი მხოლოდ გადაცემით ჩუქებას აღიარებს. გამოდის, რომ ჩუქების ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება სანივთო გარიგების დადებისა და ნივთის გადაცემის მომენტამდე, რაც აშკარად ეწინააღმდეგება გამიჯვნის პრინციპს, რომელიც ვალდებულებით და სანივთო გარიგებებს ერთმანეთისაგან გამიჯნულად განიხილავს.

ფრანგული სამართალი ხელშეკრულებას, რომელიც იდება ნაჩუქარი ნივთის ხელიდან ხელში გადაცემით, ჩუქების ხელშეკრულებისათვის დადგენილი სანოტარო ფორმის დაცვის გარეშე, განაკუთვნებს რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას და, შესაბამისად, დადებულად თვლის ნივთის გადაცემის მომენტიდან. ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია ნაჩუქარი ქონების ხელიდან ხელში (*de la main à la main*) გადაცემა. აქედან გამომდინარე,

რეალური ჩუქების ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მოძრავი ნივთი, ამასთან, გადაცემა შესაძლებელია მესამე პირის მეშვეობითაც განხორციელდეს.¹⁰⁹

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულისაგან განსხვავებით, რომელიც, სსკ-ის 524-ე-525-ე მუხლების ფორმულირებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, მხოლოდ გადაცემით ჩუქებას აღიარებს ხელშეკრულებად და ჩუქებას რეალური ხელშეკრულების კატეგორიას მიაკუთვნებს, ფრანგულ სამართალში ჩუქების ამ სახის, ე.წ. *don manuel*-ის, რეალურ ხელშეკრულებად კვალიფიცირება სადავოა. მიჩნეულია, რომ *don manuel*-ის შემთხვევაშიც ხელშეკრულება იდება მხარეთა შეთანხმებით, ნივთის გადაცემით კი მხოლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება ხდება.¹¹⁰ ამასთან, მართალია, ასეთ შემთხვევაში დაცული არ არის ჩუქების ხელშეკრულების დადებისათვის დადგენილი სანოტარო ფორმა, მაგრამ ხელშეკრულების შესრულებით, ნივთის გადაცემით სრულდება საჯაროობის მოთხოვნა, რომლის დაკმაყოფილების მიზანსაც ემსახურება სანოტარო ფორმა.¹¹¹ ასეთი სახის ხელშეკრულება ასევე აკმაყოფილებს მტკიცების მოთხოვნას, კერძოდ, მის სასარგებლოდ მოქმედებს ფსკ-ის 2279-ე მუხლი, რომელიც უშვებს პრეზუმფციას, მოძრავი ნივთების მფლობელი განიხილებოდა მის მესაკუთრედ.¹¹² ქართულ სამართალში, როგორც უკვე აღინიშნა, გაურკვეველია ჩუქების დაპირების სამართლებრივი ბუნების საკითხი, თუმცა ერთი რამ ფაქტია: ჩუქების ხელშეკრულების დადება, სსკ-ის 524-ე მუხლის თანახმად, საჭიროებს აქცეპტს, ქართულ სამართალში კი, სსკ-ის 525-ე მუხლიდან გამომდინარე, ჩუქების ხელშეკრულების დადება ყველა შემთხვევაში ნივთის გადაცემით გზით ხდება, შესაბამისად, აქცეპტიც გადაცემული ნივთის მიღებაში გამოიხატება. ამიტომაც ჩუქების დაპირების შემთხვევაშიც საბოლოო შედეგი გადაცემით ჩუქების ხელშეკრულების დადებაა.

525-ე მუხლზე დაყრდნობით, ჩუქების ხელშეკრულების სახედ მხოლოდ გადაცემით ჩუქების აღიარება, ფაქტობრივად, გამოორიცხავს ქართულ სამართალში შეთანხმებით ჩუქების ხელშეკრულების არსებობას, მაშინ, როდესაც ფრანგულ სამართალში სწორედ ეს უკანასკნელი განიხილება ჩუქების ძირითად სახედ. მსგავსი მიდგომა გაუმართლებელია. მიზანშეწონილია, ქართულ სამართალში გამყარებული იყოს შეთანხმებით ჩუქების, უფრო ზუსტად კი, ჩუქების ვალდებულებით სამართლებრივი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობა, სანივთო გარიგების დადებასა და ნივთის გადაცემაზე მისი დამოკიდებულების გარეშე.

7. დასკვნა

გამიჯვნის პრინციპის პირობებში ერთმანეთისგან იმიჯნება ვალდებულებით სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც საკუთრების უფლების მხოლოდ განკარგვის ვალდებულებას წარმოშობს და განკარგვის გარიგება, რომლითაც უშუალოდ ხდება საკუთრების უფლების გადაცემა. ზოგიერთი ავტორი გამიჯვნისა და აბსტრაქციის პრინციპებს ერთმანეთთან აიგივებს, რაც მართებულად არ შეიძლება ჩაითვალოს. აბსტრაქციის პრინციპი აუცილებლად გულისხმობს გამიჯვნის პრინციპს, მაგრამ არა პირიქით, რადგან გამიჯვნის პრინციპის კომბინირება ასევე შესაძლებელია კაუზალურ პრინციპთან, თუმცა ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი პრაქტიკულ დანიშნულებას მოკლებულია – გამიჯვნის პრინციპი რეალურ სამართლებრივ მნიშვნელობას სწორედ აბსტრაქციის პრინციპთან ერთობლიობაში იძენს.

¹⁰⁹ *Voirin/Goubeaux*, Droit Civil, Tome 2, 2006, 323.

¹¹⁰ *Montanier*, Le contrat, 2005, 119.

¹¹¹ იქვე, 115.

¹¹² *Voirin/Goubeaux*, Droit Civil, Tome 2, 2006, 324.

არსებობს მოსაზრება, რომ სანივთო გარიგების აბსტრაქტულობა მხოლოდ აბსტრაქციის პრინციპის შინაარსში მოიაზრება, თუმცა ერთმანეთისაგან უნდა იქნეს განსხვავებული სანივთო ხელშეკრულების „შინაგანი“ და „გარეგანი“ აბსტრაქტულობა. „შინაგანი აბსტრაქტულობა“ გულისხმობს, რომ სანივთო ხელშეკრულება თავის თავში არ შეიცავს მისი დადების სამართლებრივ საფუძველს. ეს საფუძველი, როგორც წესი, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებიდან ან კანონიდან გამომდინარეობს; „გარეგანი აბსტრაქტულობაში“ კი მოიაზრება ვალდებულებითსამართლებრივ და სანივთოსამართლებრივ ხელშეკრულებათა ნამდვილობის ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობა. სანივთო გარიგების როგორც „შინაგანი“, ისე „გარეგანი აბსტრაქტულობა“ ხშირად აბსტრაქციის პრინციპის შინაარსში განიხილება, თუმცა აბსტრაქციის პრინციპი მოიცავს სანივთო ხელშეკრულების მხოლოდ „გარეგანი აბსტრაქტულობას“, ხოლო მისი „შინაგანი აბსტრაქტულობა“ გამიჯვნის პრინციპის შინაარსში უნდა იქნეს მოაზრებული.

გამომდინარე იქიდან, რომ სანივთო გარიგების „შინაგანი აბსტრაქტულობა“ გამიჯვნის პრინციპის შინაარსში შედის, ეს უკანასკნელი კი კაუზალური სისტემის პირობებშიც არსებობს, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ სანივთო ხელშეკრულებები კაუზალურ სისტემაში „შინაგანად“ ისევე აბსტრაქტულია, როგორც აბსტრაქციის პრინციპის მოქმედების შემთხვევაში, რადგან სანივთო ხელშეკრულება არც კაუზალური სისტემის პირობებში შეიცავს თავის თავში მისი დადების საფუძველს. კაუზალურ და აბსტრაქტულ სისტემებში, სანივთო ხელშეკრულების აბსტრაქტულობის თვალსაზრისით, განსხვავება ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულებების მხოლოდ გარეგანი დამოკიდებულებაშია, სანივთო ხელშეკრულების „შინაგანი აბსტრაქტულობის“ კუთხით არაფერი იცვლება.

ზოგადად, სსკ-ის მუხლების ფორმულირებიდან გამომდინარე, არცთუ ნათელია ქართულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის არსებობა, თუმცა ცალკეული ნორმების ანალიზი იძლევა საინააღმდეგო დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. კერძოდ:

– ქართულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის არსებობაზე მეტყველებს სამართლებრივ ლიტერატურაში აღიარებული სანივთო გარიგებები, რადგან ვალდებულებით და სანივთო გარიგებათა აღიარება წარმოუდგენელია მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნის გარეშე;

– გამიჯვნის პრინციპის არსებობის დასაბუთების შესაძლებლობას იძლევა ასევე კოდექსის ვალდებულებითი სამართლის სახელშეკრულებო ნაწილის ნორმათა ანალიზი. მათში ხდება მითითება ვალდებულებითი ხელშეკრულებით საკუთრების უფლების გადაცემის მხოლოდ ვალდებულების წარმოშობაზე და ტერმინების – „მოვალეა“, „კისრულობს ვალდებულებას“, „ვალდებულია“ – გამოყენებით ხაზი ესმევა კოდექსის ამ ნაწილში განთავსებული ხელშეკრულებების ვალდებულებითსამართლებრივ ბუნებას;

– ამასთან, სსკ-ის 477-ე მუხლი, რომელიც მსგავსებას ამჟღავნებს გსკ-ის 433-ე პარაგრაფთან, ადგენს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით საკუთრების უფლებისა და ნივთის გადაცემის მხოლოდ ვალდებულება წარმოიშობა. როგორც გერმანული, ისე ქართული სამართლისათვის ტიპური ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი აღნიშნული ნორმა იძლევა შემდეგი დასკვნის გაკეთების საშუალებას: ჯერ ერთი, ნასყიდობის ხელშეკრულება საკუთრების უფლების გადაცემის მხოლოდ ვალდებულებას წარმოშობს, შესაბამისად, საკუთრების გადაცემისთვის საჭიროა დამატებითი სამართლებრივი საშუალების გამოყენება, რომელშიც არ შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ ნივთის მფლობელობაში გადაცემა, როგორც დამატებითი ფორმალური კრიტერიუმი, რადგან ნორმა ერთმანეთისაგან გამოყოფს საკუთრების უფლების გადაცემას და ნივთის გადაცემას. შესაბამისად, დასაშვებია ვარაუდი, რომ კანონმდებელი საკუთრების უფლების გადაცემისათვის მხოლოდ ნივთის გადაცემას საკმარისად არ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, მართებულია დასკვნა, რომ ქართულ

სამართალში, გერმანული სამართლის მსგავსად, დამატებით საჭიროა შეთანხმება საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. მარტოოდენ ნივთის გადაცემით საკუთრების უფლების გადაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში კოდექსის მოცემული ნორმა განსხვავებულ ფორმულირებას მოითხოვდა, კერძოდ, შესაძლებელია ჩამოყალიბებულიყო შემდეგი სახით: „ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, ნივთის გადაცემით გადასცეს მასზე საკუთრების უფლება მყიდველს“, რაც ნათლად გამოკვეთდა საკუთრების უფლების გადაცემისათვის მხოლოდ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებისა და ნივთის მფლობელობაში გადაცემის საჭიროებას. რაც შეეხება ნივთის მფლობელობაში გადაცემას, ქართული სამართალი ნივთის მფლობელობაში გადაცემის იმავე სახეებს იცნობს, რასაც გერმანული;

– ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული სამართალი საკითხთა მთელ რიგთან მიმართებით იზიარებს გერმანული სამართლის მიდგომას, რაც ქართულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის დასაბუთების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა აღნიშნული ნორმა მისი გერმანული ანალოგის – გსკ-ის 929-ე პარაგრაფისგან განსხვავებულად არის ფორმულირებული. პირველ რიგში, სსკ-ის 186-ე მუხლი გსკ-ისგან განსხვავებით არ შეიცავს მითითებას საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე შეთანხმების შესახებ, ამასთან, სსკ-ის 186-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ ნივთის გადაცემა უნდა მოხდეს „ნამდვილი უფლების“ საფუძველზე. გერმანული და ქართული კოდექსების ამ ნორმათა შორის ეს უკანასკნელი განსხვავება განპირობებულია სსკ-ის მიერ აბსტრაქციის პრინციპზე უარის თქმითა და კაუზალური პრინციპის დამკვიდრებით. უნდა აღინიშნოს, რომ 186-ე მუხლის I ნაწილის არსებული ფორმულირების პირობებშიც შესაძლებელია ქართულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის არსებობის დასაბუთება. კერძოდ, ნივთის გადაცემისას მხარეები კონკლუდენტურად გამოხატავენ, ერთი მხრივ, მისი საკუთრებაში გადაცემის, მეორე მხრივ კი, მიღების ნებას. შესაბამისად, სახეზეა სანივთო ხელშეკრულება საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ.

სსკ-ის 186-ე მუხლში საკუთრების გადაცემის შესახებ შეთანხმებაზე მითითების არარსებობა განხილულ უნდა იქნეს ამ მუხლის ხარვეზად, რაც ქართულ სამართალში საკუთრების გადაცემის სისტემის ორაზროვან გაგებას და მის ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებს იწვევს. ამიტომაც, მიზანშეწონილია, კოდექსის ამ ნორმის კორექტირება და მისი ისე ფორმულირება, რომ ნათლად იყოს გამოკვეთილი საკუთრების გადაცემისათვის სანივთოსამართლებრივი ხელშეკრულების აუცილებლობა, და ამდენად, ქართულ სამართალში გამიჯვნის პრინციპის არსებობა. კერძოდ, შესაძლებელია, სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი ნაწილი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: „მოძრავ ნივთებზე საკუთრების გადასაცემად საჭიროა შემძენისათვის ნამდვილი უფლების საფუძველზე ნივთის გადაცემა და შეთანხმება საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ.“

ქართული სამართალი იცნობს კონსენსუალურ და რეალურ ხელშეკრულებათა ცნებებს, რომლებიც, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით, მსგავსებას ამჟღავნებენ ფრანგულ სამართალში არსებულ ანალოგიურ კლასიფიკაციასთან, თუმცა განსხვავებულ სამართლებრივ შედეგებს იწვევენ საკუთრების უფლების გადაცემის კუთხით. როგორც ფრანგულ, ისე ქართულ სამართალში ხელშეკრულებათა კონსენსუალურად და რეალურად დაყოფას საფუძველად უდევს მათი დადების მომენტი, თუმცა ფრანგულ სამართალში, ქართულისგან განსხვავებით, ამ მომენტს საკუთრების უფლების გადაცემა უკავშირდება. ქართული სამართლის მიხედვით, აღნიშნული კლასიფიკაცია, სავარაუდოდ, უნდა შეეხებოდეს ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებებს, მაგრამ რეალური ხელშეკრულება, რომლის დადებაც ნივთის გადაცემას უკავშირდება, ცალსახად ვალდებულებითსამართ-

ლებრივ ხელშეკრულებად ვერ იქნება განხილული. რეალური ხელშეკრულების დადებისათვის აუცილებელი ნივთის გადაცემაში, ქართული სამართლის გაგებით, შესაძლებელია მოაზრებულ იქნეს მხოლოდ განკარგვის ან ერთდროულად ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულება, მაგრამ გამიჯვნის პრინციპის პირობებში ერთიანობის პრინციპზე დამყარებულ ფრანგულ სამართალში დამკვიდრებული ცნებების გამოყენებამ შესაძლოა არასწორი ინტერპრეტაცია გამოიწვიოს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჩუქების ხელშეკრულებად აღიარების საკითხი არაერთგვაროვნად არის გადანყვეტილი სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში. კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში ჩუქება მიჩნეულია ხელშეკრულებად, სადაც ჩუქების ხელშეკრულების ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურება მისი უსასყიდლო ხასიათია, მაშინ, როდესაც ინგლისური სამართალი ჩუქებას ხელშეკრულებად არ აღიარებს სწორედ ამ თვისების გამო, კერძოდ, საპასუხო შესრულების არარსებობის მიზეზით.

ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ „ერთიანობის პრინციპის“ პირობებში ეჭვს იწვევს ჩუქების ხელშეკრულების ცალმხრივად მავალდებულებელი ბუნება. ფრანგულ სამართალში დამკვიდრებული კონსენსუალობის პრინციპიდან გამომდინარე, რომელიც ითვალისწინებს საკუთრების უფლების გადაცემას ხელშეკრულების დადების მომენტიდან, შეუძლებელია ზღვრის გავლება ვალდებულების წარმოშობასა და შესრულებას შორის. მჩუქებელი ვალდებული არ არის, დადოს ჩუქების ხელშეკრულება, შესაბამისად, არც მეორე მხარეს აქვს ნივთის გადაცემის მოთხოვნის უფლება, ხოლო მჩუქებლის მიერ ჩუქების ხელშეკრულების დადების გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში ხელშეკრულების დადებით იგი ავტომატურად გადასცემს საკუთრების უფლებას დასაჩუქრებულს, ისე, რომ ამ უკანასკნელს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არანაირი მოთხოვნის უფლება არ წარმოეშობა. მართალია, მას შეუძლია, მოსთხოვოს მჩუქებელს ნივთის გადაცემა, თუკი შეთანხმებით ჩუქების დროს ნივთის გადაცემა არ მომხდარა, ან სახეზე არ არის *don manuel*, მაგრამ მისი ეს მოთხოვნის უფლება არის მესაკუთრის, და არა სახელშეკრულებო მოთხოვნის, უფლება, რომელიც ჩუქების ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს. სავარაუდოდ, ამ ფაქტით არის განპირობებული, რომ ფრანგულ სამართალში ჩუქება ხელშეკრულებების ცალმხრივად და ორმხრივად კლასიფიკაციისას არცერთ კატეგორიაში არ შედის.

სსკ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, როგორც უკვე ითქვა, ხაზს უსვამს ვალდებულებითი სამართლის სახელშეკრულებო ნაწილში განთავსებულ ხელშეკრულებათა ვალდებულებითსამართლებრივ ბუნებას. გამონაკლისებს შორისაა სსკ-ის 524-ე მუხლი. ამ ნორმის ფორმულირებიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით, არ იკვეთება, რამდენად მოქმედებს მასთან მიმართებით გამიჯვნის პრინციპი. სსკ-ის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. ამ მუხლში საუბარია უშუალოდ საკუთრების უფლების გადაცემაზე და არა გადაცემის ვალდებულების წარმოშობაზე, რაც, ცხადია, არღვევს ვალდებულებითსამართლებრივ ხელშეკრულებებთან მიმართებით კოდექსში არსებულ კანონზომიერებას და, შესაძლებელია, ერთი შეხედვით, ტოვებდეს ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებით გამიჯვნის პრინციპის გამორიცხვის შთაბეჭდილებას. ლოგიკური თვალსაზრისით, გაუმართლებელია, კოდექსი ზოგადად აღიარებდეს გამიჯვნის პრინციპს და გამორიცხავდეს მის მოქმედებას მხოლოდ რამდენიმე კონკრეტულ ხელშეკრულებასთან მიმართებით, მით უმეტეს, რომ ასეთი გამორიცხვის არანაირი თეორიული თუ პრაქტიკული საფუძველი და საჭიროება არ არსებობს. შესაბამისად, გამიჯვნის პრინციპი, სხვა ხელშეკრულებათა მსგავსად, მოქმედებს ჩუქების ხელშეკრულებასთან მიმართებითაც. მაშინაც კი, როდესაც სახეზეა გადაცემით

ჩუქების ხელშეკრულება, თეორიულად შესაძლებელია ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულებების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულებების დადება და შესრულება დროის თვალსაზრისით ერთმანეთს ემთხვევა. ამიტომ მიზანშეწონილია სსკ-ის 524-ე მუხლის იმ სახით ფორმულირება, რომელიც გამოკვეთს მის ვალდებულებითსამართლებრივ ბუნებას ისე, როგორც ეს ხდება სხვა ხელშეკრულებათა მომწესრიგებელ ნორმებში, რითაც თავიდან იქნება არიდებული ჩუქების ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების ორაზროვანი გაგება. კერძოდ, შესაძლებელია სსკ-ის 524-ე მუხლის შემდეგნაირად ჩამოყალიბება: „ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი კისრულობს ვალდებულებას, საკუთრებაში გადასცეს ნივთი დასაჩუქრებულს მისი თანხმობით.“

სსკ-ის 525-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ნივთის გადაცემის მომენტიდან. მოცემული ნორმის განმარტებიდან გამომდინარე, სსკ მხოლოდ გადაცემით ჩუქების ხელშეკრულებას აღიარებს. ცალსახაა, რომ სსკ-ის 525-ე მუხლის I ნაწილი გადაცემით ჩუქების ხელშეკრულების დადებას შეეხება, მაგრამ გაურკვეველია, რომელი ხელშეკრულება იგულისხმება სსკ-ის აღნიშნულ ნორმაში, ვალდებულებითსამართლებრივი თუ სანივთოსამართლებრივი. ზოგადად ვალდებულებითი სამართლის ნაწილში განთავსებული ნორმა უნდა ანესრიგებდეს ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულების დადებას, თუმცა სსკ-ის 525-ე მუხლის I ნაწილის ნორმაში მითითებული ხელშეკრულება ვერ იქნება განხილული ვალდებულებითსამართლებრივ, თუნდაც პირობით ხელშეკრულებად, რადგან სსკ-ის 90-ე მუხლის თანახმად, პირობით გარიგებაში პირობის დადგომას უკავშირდება ხელშეკრულების მოქმედების გადადება ან შეწყვეტა და არა მისი დადება. ლოგიკურადაც, ხელშეკრულებაში პირობის არსებობა თავისთავად გულისხმობს ხელშეკრულების არსებობას. ამასთან, ნივთის გადაცემა საკუთრების უფლების გადაცემის მომენტს უკავშირდება და, აქედან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ სსკ-ის 525-ე მუხლის I ნაწილი სანივთო ხელშეკრულების დადებას შეეხება, მიუთითებს საკუთრების უფლების გადაცემის წესზე, რაც გამიჯვნის პრინციპის მოქმედების პირობებში სისტემური თვალსაზრისით გაუმართლებელია, რადგან საკუთრების უფლების გადაცემის წესი და პირობები ნივთების კლასიფიკაციის (მოდრავი და უძრავი) გათვალისწინებით საერთოა ყველა ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებისათვის და სანივთო სამართლის რეგულირების სფეროში შედის. სსკ-ის 525-ე მუხლის ამ სახით ფორმულირება სისტემურად მიუღებელია, თუნდაც აღნიშნულ ნორმაში, ერთდროულად ვალდებულებითი და სანივთო ხელშეკრულების მოაზრების შემთხვევაში.

გსკ-ის 516-ე პარაგრაფისა და სსკ-ის 524-ე მუხლიდან გამომდინარე, ჩუქების ხელშეკრულების დადებისთვის აუცილებლად მოითხოვება დასაჩუქრებულის აქცეპტი. თუმცა გერმანული სამოქალაქო სამართალი ითვალისწინებს აქცეპტის შეტყობინების გარეშე ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას, რის საშუალებასაც იძლევა გსკ-ის 151-ე პარაგრაფი, რომლის ანალოგს ქართული სამართალი არ იცნობს. ამრიგად, ქართულ სამართალში, ჩუქების ხელშეკრულების დადებისას, ყველა შემთხვევაში საჭიროა დასაჩუქრებულის აქცეპტი. სსკ-ის 525-ე მუხლის I ნაწილის თანახმად კი, მოძრავ ნივთებთან მიმართებით თანხმობის გამოხატვა ხდება ნივთის მიღებით.

სსკ-ის 525-ე მუხლი მხოლოდ გადაცემით ჩუქების ხელშეკრულების აღიარებით კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქართულ სამართალში შეთანხმებით ჩუქების არსებობის საკითხს, განსხვავებით ფრანგული სამართლისაგან, სადაც სწორედ შეთანხმებით ჩუქება მიიჩნევა ჩუქების ხელშეკრულების ძირითად სახედ და რომელიც მასში გამოკვეთილი ვალდებულებით-სამართლებრივი ბუნების გამო ყველაზე მეტად შეესაბამება გამიჯვნის პრინციპის არსს.

ამიტომ მიზანშეწონილია, ქართულ სამართალში ჩუქების ხელშეკრულების დადების მომწესრიგებელ მუხლშიც მოხდეს ჩუქების ხელშეკრულების ვალდებულებითსამართლებრივი ბუნების ხაზგასმა და სსკ-ის 525-ე მუხლი შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: 1. ჩუქების ხელშეკრულებისთვის (არა მხოლოდ დაპირებისთვის) სავალდებულოა წერილობითი ფორმის დაცვა. 2. ჩუქების ხელშეკრულების შესრულება ასწორებს ხელშეკრულებისათვის დადგენილი ფორმის ნაკლს.

ქართული სამართლის მიხედვით, ბუნდოვანია ჩუქების დაპირების სამართლებრივი ბუნება. არსებობს მოსაზრება, რომ ჩუქების დაპირება წინარე ხელშეკრულებაა. სსკ-ის 327-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, წინარე ხელშეკრულებაზე ვრცელდება ძირითადი ხელშეკრულებითსათვის გათვალისწინებული ფორმა. ჩუქების ძირითადი ხელშეკრულების დადებისათვის საჭიროა ნივთის გადაცემა, ჩუქების დაპირებისათვის კი წერილობითი ფორმაა დადგენილი. გარდა ამისა, წინარე ხელშეკრულებაც მოითხოვს მხარეთა შეთანხმებას, ოფერტისა და აქცეპტის სახით. ჩუქების დაპირებასთან მიმართებით გაურკვეველია აქცეპტისათვის დადგენილი ფორმის საკითხიც. კერძოდ, ბუნდოვანია, მოითხოვს თუ არა იგი იმავე ფორმას, რაც უშუალოდ ჩუქების დაპირებისათვის არის დადგენილი. ამასთან, წინარე ხელშეკრულება მხოლოდ ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოშობს, სსკ-ის 525-ე მუხლის III ნაწილში კი მითითებულია, რომ წერილობითი ფორმის დაკმაყოფილების შემთხვევაში ჩუქების დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას. ამ შემთხვევაშიც გარკვეულწილად ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება „ჩუქების ვალდებულებაში“, ჩუქების ხელშეკრულების დადების თუ ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების, კერძოდ, საკუთრების უფლებისა და ნივთის გადაცემის ვალდებულება? პირველ შემთხვევაში ჩუქების დაპირება შესაძლებელია განხილულ იქნეს ფრანგულ სამართალში მოცემული ცალმხრივი პირობების მაგალითად, რომელიც სათანადო ფორმის დაცვის შემთხვევაში პირობის მიმცემი მხარისათვის ხელშეკრულების დადების ვალდებულებას წარმოშობს,¹¹³ თუმცა უფრო ლოგიკურია ვარაუდი, რომ კანონმდებელი 525-ე მუხლის III ნაწილის დებულებაში სწორედ საკუთრების უფლებისა და ნივთის გადაცემის ვალდებულებას მოიაზრებდა. ასეთ პირობებში კი ჩუქების დაპირება ცალსახად უნდა იქნეს განხილული ხელშეკრულებად, რადგანაც იგი სათანადო ფორმის დაცვის შემთხვევაში მხარისათვის უშუალოდ ჩუქების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების წარმოშობას ითვალისწინებს.

ჩუქების დაპირების ხელშეკრულებად განხილვის შემთხვევაში, ვინაიდან ერთ მხარეს წარმოეშობა საკუთრების გადაცემის ვალდებულება, ხოლო მეორეს, შესაბამისად, მოთხოვნის უფლება, პირობის მიმცემი მხარე მოვალეა, შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულება. თუკი ასეთ პირობებში მოთხოვნის უფლების მქონე მხარე განაცხადებს უარს სანივთო გარიგების დადებაზე, ვალდებულებითსამართლებრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შეწყვეტა უნდა მოხდეს ვალის პატიების ნორმების გამოყენებით, რადგან პირობის ადრესატს არ შეიძლება ჰქონდეს მოთხოვნის უფლების განუსაზღვრელი ვადით შენარჩუნების უფლება, ისევე, როგორც დაუშვებელია პირობის მიმცემი გამუდმებით იმყოფებოდეს სამართლებრივად გაურკვეველ მდგომარეობაში.

¹¹³ იხ. დანვრილებით: *Montanier, Le contrat, 2005, 40-44.*